1
745/2ჟ/10873

პიროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ

# საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 12 (39) 14 ივნისი, პარასკევი 1991

**გაზეთ „საქართველოს" რედაქცია ულოცავს ბატონ ზვიად გამსახურდიას საქართველოს პრეზიდენტად არჩევას და უსურვებს თავისუფლებისათვის მებრძოლი ერის წინამძღოლის მძიმე მისიის ღირსეულად აღსრულებას.**

[...]ვენს მკითხველებს ვთავაზობთ კიდევ ერთ ახალ რუბრიკას:

# [...]ინტერვიუ პრეზიდენტობის ყოფილ კანდიდატთან"

[...]ალბათ, ინტერესმოკლებული არ იქნება საზოგადოებისათვის შეხვედრები დამარცხებულ ის ამპლუაში მყოფ პიროვნება[...]ნ. ჩვენს კორესპონდენტს ესაუბრა ბატონი

## [...]დარ ნათაძე

[...]მდევნო ნომრებში სხვა ყოფილ კანდიდატებს წარმოგიდგენთ. ბოლოს კი, თუ მოიცლის ჩვენთვის, გამარჯვებულს, [...]ონ ზვიად გამსახურდიას გვინდა ვთხოვოთ გაზეთ „საქართველოს" მკითხველებთან შეხვედრა.

— **როგორ აფასებთ საპრეზიდე[...] არჩევნების შედეგებს?**

— მაპატიეთ, მაგრამ ჩემი სპე[...]ობით დაკავშირებული ვარ [...]ოლოგიასთან, ისტორიასთან, [...]სოფიურ ანთროპოლოგიას[...] თუ ნებას მომცემთ, გესაუბ[...] მხოლოდ როგორც ანალი[...]სი, და არა როგორც პოლი[...]ში პრაქტიკულად ჩაბმული [...] ვილაპარაკებ, ასე ვთქვათ, [...] დედაენაზე, მეცნიერის ენაზე, [...]რა პოლიტიკოსისაზე, ანუ იმ [...]აზე, ვისაც ყველა გარემოე[...]ბი ანგარიშის გაწევა და [...]ლის სულისკვეთებისა და [...]დების გათვალისწინება ჰმა[...].

— **თქვენი ნებაა.**

— პირველ ყოვლისა, ვფიქრობ, არჩევნების შედეგები კანონ[...]რია. მოხდა ის, რაც ბუნე[...] იყო. მართლაც, რას მოი[...] მასა ასარჩევი პრეზიდენტი[...] ან იმას მოითხოვს, რომ [...]დენტმა სახელმწიფო ოპტი[...]რად მართოს მომავალში, ან [...] რომ თვით პრეზიდენტს პი[...]ული შარავანდი ადგეს, ან [...]ს ერთად. ის, რომ აქცენტი [...]ლ მოთხოვნაზე კეთდებოდეს, [...]მართულად დემოკრატიული [...]ების და პოლიტიკურად მომ[...]ული საზოგადოებების სპე[...]აა. მისი მექანიზმი შემდე[...]ა. როგორც მოქალაქე, ჩე[...]წონი და ვაფასებ ჩემი ქვე[...]ბედს, მის შესაძლებლობებს [...] და საშინაო პოლიტიკაში [...]შ. და ჩემით ვარჩევ, რა და [...]და გაკეთდეს ხელისუფლე[...]ერ, რათა ჩემი ქვეყნის სა[...] კარგად წავიდეს. მოკლედ [...]ვთქვათ, მე ქვეყნის მართვის [...]არი პროგრამა მაქვს. ამ პრო[...] ვუდარებ კანდიდატთა პრო[...] და ხმას ვაძლევ იმას, ვი[...]გრამაც ჩემსას ყველაზე მე[...]ახლოვდება. რა თქმა უნდა, [...]დენტის პიროვნებასაც ვით[...]წინებ, ვინაიდან ცოცხალი [...]არ და არა ავტომატი ან კო[...]ერი. მაინტერესებს მისი ბი[...]იაც, მისი გარეგნობაც, მი[...]ძო ცხოვრება და ინტერე[...]. მაგრამ წამყვანი მაინც [...]მისადმი ინტერესია. ვგუ[...]ობ, რა თქმა უნდა, რომ ყვე[...]ანდიდატი, რომელსაც მთავა[...]

იმისთვის, რომ მხარი დავუჭირო მის პოლიტიკას, და არა მხოლოდ იმისთვის, რომ მაინცდამაინც ეს კაცი გავიყვანო. იმის მიხედვით, რამდენი ხმა მოაგროვა ჩემმა კანდიდატმა, ფაქტობრივად განისაზღვრება მისი და ჩემი პლატფორმის წონაც მომავალ მართვაში. ამგვარი არჩევნით მე ქვეყნის მართვის ნამდვილი თანამონაწილე ვარ.

— **ამ ვითარებისგან ჯერ ძალიან შორს ვართ. რასაც თქვენ აღწერთ, იმას მოქალაქის პოლიტიკური სიმწიფე ჰქვია.**

— დიახ, ნამდვილად, ახლა, რაც შეეხება მეორე მოთხოვნას. მე ვირჩევ პიროვნებას, რადგან მისთვის შემომდგარ შარავანდს ვხედავ. მე იგი მიმაჩნია გმირად, წმინდანად და მზად ვარ ყველა ნაკლი და ყველა შეცდომა ვაპატიო. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ: მზად ვარ მისი ვერც ნაკლი და ვერც შეცდომა ვერ დავინახო. ამგვარ მიდგომას, გარეგნულად, ასეთი დასაბუთება აქვს ხოლმე უფრო ხშირად: „კაცს დამსახურება აქვს, თავი დაუდვია, ერისთვის მსხვერპლი გაუღია. მაშ, ვიზეა პრეზიდენტობა უფრო უპრიანი, ვიდრე ამაზე?", მაგრამ, არსებითად, ამგვარ არჩევანში სხვა ლოგიკაც ძევს ხოლმე (ასიდან ოთხმოცდაცხრამეტ შემთხვევაში). მე, როგორც მოქალაქეს, **არა მაქვს** საკუთარი პროგრამა. მე **არა მაქვს** რაიმე გეგმა ან მოსაზრება იმის თაობაზე, თუ რა უნდა გაკეთდეს და როგორ უნდა გადაურჩეს ქვეყანა განსაცდელს. ამიტომ მე ვეძებ **სხვას**, ვინც ამ პრობლემებს ჩემს ნაცვლად გადაჭრის. მე ვერ ვიმედოვნებ, რომ ჩემს თავს და ჩემს ქვეყანას მევე ვიხსნი სხვა ჩემისთანებთან ერთად, და ამიტომ ვეძებ გმირს, რომელიც მიხსნის. თუ გმირი არ მყავს, იგი უნდა შევქმნა, უნდა შევთხზა, უნდა მოვიგონო. მე ჩემი ბედი და ჩემი ქვეყნის ბედი ვიღაცას უნდა მივანდო, და ეს ნდობა უნდა იყოს უკრიტიკო, ბრმა. მაგრამ ვინაიდან ეს ნდობა უკრიტიკო და ბრმაა, ეს იძულებულს მხდის, იგივე ნდობა იმ გმირის თუ „გმირის" მიმართ სხვასაც მოვთხოვო. მე სხვაც უნდა ვაიძულო, იმავე ნდობით განიმსჭვალოს ჩემი გმირის მიმართ. იმისთვის, რომ სხვანაირად მოვიქცე, ჩემი ნდობა ბრმა კი არ უნდა იყოს, არამედ

თვალხილული, რადგან მაშინ ჩემი ნდობა მოწინააღმდეგის მოსაზრებებს უნდა დაუპირისპირდეს. ამიტომ თვალხილული ნდობა თვითონაც კრიტიკულია. მაგრამ კრიტიკული ნდობისათვის აუცილებელია, მე მქონდეს ჩემი საკუთარი საზომი, რომლითაც ჩემს „გმირს" და მის მოქმედებას შევაფასებ, ანუ ქვეყნის მართვის ისევ და ისევ ჩემი, საკუთარი პროგრამა.

— **მაშ, თუ საკუთარი აზრი — თქვენი სიტყვით, საკუთარი პროგრამა — არა მაქვს, უსათუოდ იმ ბრმა ნდობის ტყვეობაში უნდა მოვექცე?**

— უარესს გეტყვით. ან ბრმა ნდობის ტყვეობაში, ან — რაც ჩემი აზრით, კიდევ უფრო ტრაგიკულია — პოლიტიკური გულგრილობის ტყვეობაში. ეს ის პოლიტიკური გულგრილობაა, რომელიც ბადებს შინაგან ცინიზმს, ჩვენთვის კარგად ნაცნობს კომუნისტური დიქტატურის ეპოქიდან, „რა გაგიხდათ თქვენი საქართველო"-ს იდეოლოგიას. მაგრამ ახლა მინდა დავასრულო ჩემი სათქმელი. საქმე მხოლოდ ის არ გახლავთ, რომ მოქალაქე თავისი ცოდნითა და გამოცდილებით მოუმზადებელია პოლიტიკური გადაწყვეტილებების მისაღებად და **ამიტომ** ეძებს სხვას, — გმირსა და ბრძენს — ვინც მას ამ პრობლემებს გადაუწყვეტს. აქ უფრო ღრმა ფაქტორებიც მუშაობს. ცოდნა და გამოცდილება, რომელიც გადაწყვეტილების მიღებას სჭირდება (რა თქმა უნდა, პროფესიული ცოდნის ჩათვლით) არაა იგივე, რაც გადაწყვეტილების მიღება. გადაწყვეტილების მიღება, საერთოდ, თავისებური სულიერი აქტია, რომელიც მაინცდამაინც ადვილი არ არის. იგი ადვილია, შესაძლოა, მხოლოდ გონებრივად ჩამორჩენილისთვის, სხვებისთვის კი ძნელია იმიტომ, რომ იგი **პასუხისმგებლობასთანაა** დაკავშირებული. იმის მიხედვით, რას ვიზამ, ანუ რა გადაწყვეტილებას მივიღებ დღეს, წარიმართება ჩემი და არა მხოლოდ ჩემი ბედი მომავალში. ამიტომ ადამიანი, ზოგადად რომ ვთქვათ, უფრთხის გადაწყვეტილებების მიღებას და როგორც საკუთარ ბედზე, ისე სხვათა ბედზე ჭეშმარიტი პასუხისმგებლობის აღებას. ფილოსოფიური ენით რომ ვთქვათ, ადამიანი თა[...]

რთხის თავისუფლებას. ეს არის ერთ-ერთი (თუმცა, რა თქმა უნდა, არა ერთადერთი) საფუძველი მასის პოლიტიკური პასიურობის ყველა ფორმისა, რა თქმა უნდა საბჭოურის ჩათვლით. მართვაში მონაწილეობა სიტყვით ყველას უნდა, გულით კი არც ისე ბევრს. მოკლედ რომ გითხრათ, აქ თავის სიტყვას ბუნებაც ამბობს, და არა მხოლოდ განათლება ან გამოცდილება.

— **როგორია, თქვენი აზრით, ჩვენი, ქართველების ბუნება შეწყობილი დემოკრატიის ამ მთავარ პარამეტრთან?**

— იყო ერთი ძალიან დიდი ფსიქიატრი და ძალიან დიდი ფილოსოფოსი — ეგზისტენციალისტი კარლ იასპერსი. მან რეალური ადამიანიც იცოდა, როგორც მედიკოსმა, და ფილოსოფიური პრობლემებიც იცოდა, როგორც ფილოსოფოსმა. მისი დასკვნით თავისუფლება ნამდვილად, გულით ადამიანთა 10 პროცენტს სწადია. ეს დაბალი ციფრი ალბათ იმითაცაა განპირობებული, რომ თავისი შრომითი ცხოვრების დიდი ნაწილი იასპერსმა ფაშიზმისდროინდელ და ფაშიზაციისდროინდელ გერმანიაში გაატარა. მაგრამ ციფრი მაინც შთამბეჭდავია. ჩვენ, ქართველები შეჩვეულნი ვართ იმ აზრს, რომ უფრო თავისუფლებისმოყვარენი ვართ, ვიდრე ადამიანი საშუალოდ. ღმერთმა ქნას, ეს მართალი იყოს. მაგრამ თავისუფლება ამ სიტყვის ნამდვილი ფილოსოფიური აზრით, რომელზედაც წელან გვქონდა ლაპარაკი, გულისხმობს გადაწყვეტილებების მიღებას არა მარტო საკუთარი თავის მიმართ, არამედ გარესამყაროს, თუ გნებავთ — მთელი უსასრულო სამყაროს მიმართ. ყოველ შემთხვევაში, საკუთარი ქვეყნის მართვაში ნამდვილი მონაწილეობის სურვილი თავისუფლების ერთი ყველაზე არსებითი ელემენტია. თუ თქვენ ცდილობთ, საკუთარი ქვეყნის მართვა მთლიანად და უნაშთოდ სხვა კაცს გადააკისროთ, ხოლო თვით თქვენ, როგორც მოქალაქე, პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა ტვირთისგან თავისუფალი დარჩით, ეს იმას ნიშ-

ნავს, რომ თქვენ თავისუფლებას გაურბით. თქვენ უსიტყვო და უკრიტიკო ნდობას უცხადებთ სხვა კაცს იმისთვის, რომ არ დაგჭირდეთ ნდობის გამოცხადება და სათანადო მკაცრი მოთხოვნის წაყენება თქვენი თავისთვის — თქვენი საკუთარი გონებისა და ძალ-გულისათვის. სხვათა შორის, პოლიტიკაში უკრიტიკობა, ანუ პოლიტიკური თავისუფლების სხვაზე გადალოცვა ადვილად იწვევს თავისუფლების შესუსტებას პიროვნულ სფეროშიც. დამეთანხმებით, მწერალი რომ განაცხადებს, მონა ვარ და მონობა მეამაყებაო, ეს საკმაოდ მძიმე სიმპტომი გახლავთ.

— **თქვენი მსჯელობა წინამძღვრად გულისხმობს იმას, რომ თვალხილული ნდობა ანუ კრიტიკული ნდობა ზვიად გამსახურდიას იმდენ ხმებს ვერ მოუტანდა, რამდენიც უკრიტიკომ მოუტანა. მაშასადამე, თქვენ ფიქრობთ, რომ კრიტიკული მიდგომა მისეული მართვის პერსპექტივას საკმარისად ჰეროიზულ მინუსებს აღმოუჩენდა. მართებულია, თქვენი აზრით, ასეთი დასკვნის გამოტანა თქვენი სიტყვებიდან?**

— დიახ მართალი ბრძანდებით. კრიტიკული ამომრჩეველი ვერ „აპატიებს" თავის კანდიდატს მეტოქეებთან ღია პაექრობაზე უარის თქმას, ან ერთ დღეს ერთი პოზიციის დაჭერას, თუნდ პრესაში და თუნდ მიტინგზე, სხვა დღეს კი სხვისას; ვერ აპატიებს უპასუხო კითხვების არსებობას, როგორიცაა „რას უპირისპირებთ სსრკ შინაგანი ჯარების პარპაშს სამაჩაბლოში?", „რატომ აძლევთ მათ თქვენს სანქციას?", „რა პასუხს აძლევთ რამდენიმე ათას ცხინვალელ ლტოლვილს, ვის სახლებსაც ვერ იცავთ?", „რატომ გამოიყვანეთ მილიცია ბანდების მოქმედების ზონიდან?" და სხვა და სხვა. იმ საზოგადოებაში, რომელიც დღეს მსოფლიოს მმართველ ბოლომდე პოლიტიზირებულ დემოკრატიულ ქვეყნებში არსებობს, თითოეული ამ კითხვათაგანი იკმარებდა კანდიდატის დეპოპულარიზაციისთვის. ჩვენთან როგორც მოგეხსენებათ, სხვა ვითარებაა.

(დასასრული მე-2 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

**— მაშ, თქვენი თქმისა არ იყოს, არჩევნების შედეგები ბუნებრივად მოგაჩნიათ?**

— დიახ, მიმაჩნია. შედეგი შეესაბამება იმას, რასაც, ცოტა არ იყოს პოეტურად, შეგვიძლია ბუნების სამართალი ვუწოდოთ. ამაზე გეტყვით ჩემს განმარტებას, მაგრამ ჯერ ნება მომეცით დავასრულო ჩემი აზრი. წეღან მოგახსენეთ, რომ ადამიანი გულის სიღრმეში ძალიან ხშირად გაურბის თავისუფლებას, და ჩვენს საუბარში ის თემაც გამოიკვეთა, რა სტატისტიკური კავშირი არსებობს ამა თუ იმ ხალხის ეროვნულ თვისებებსა და ადამიანის ამ მიდრეკილებას შორის. ვიცით, რომ ქართველებს ამ მხრივ ზოგ სხვაზე უკეთესად გვაქვს საქმე. მაგრამ არ შემიძლია არ გავიხსენო, მაგალითად, ასეთი ეპიზოდები, რასაც საარჩევნო კამპანიის მსვლელობაში წავაწყდი: ფოთში ჰალარა მანდილოსანი ეკითხება ერთ-ერთ ორატორს, რომელმაც ზ. გამსახურდიას რომელილაცა კონკრეტული პოლიტიკური ნაბიჯი გააკრიტიკა: „მაშ, ზ. გამსახურდიას შეცდომა მოუვიდაო?" დადებითი პასუხი რომ მიიღო, წამოხტა და ყვირილი დაიწყო „ზვიადის თავი დაანებეთ, ზვიადის თავი დაანებეთ!" ქუთაისში თეატრის წინ გამართულ მიტინგზე ერთი სახეარეული ახალგაზრდა ხტუნაობდა და გაუჩერებლად ყვიროდა ერთ სიტყვას: „ზვი-ა-დი! ზვი-ა-დი!". თუმცა ამით მიტინგს ხელი ეშლებოდა, მას ხელი არავინ მოჰკიდა და განზე არ გაიყვანა. რატომ? იმიტომ, რომ მისი მოქმედება ზოგად ატმოსფეროს ასახავდა. როგორ უნდა გავიგოთ, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ეს ვითარება? ადამიანს არ უნდა, რომ მის რწმენას, მისი გმირისადმი რწმენის სახით, ხელი შეახონ, რადგანაც იცის, რომ მისი რწმენა კრიტიკულ შეხებას ვერ გაუძლებს. ფსიქოლოგიურად ეს გასაგებია. მაგრამ სახელმწიფო პოლიტიკის თვალსაზრისით, რაღა თქმა უნდა, უპერსპექტივოა.

ახლა ბუნების სამართალს დავუბრუნდეთ. ყველასათვის ნათელია, რა თვისებები უნდა ახასიათებდეს პრეზიდენტს: ლომის გული და გველის სიბრძნე, სოლომონის სამართლიანობა და წმინდანის სათნოება, ეკონომიკის, სამართლის, ტექნიკის, სამხედრო საქმის ელემენტარული ცოდნა მაინც, ისტორიის კანონთა გათვალისწინების უნარი და თანამედროვე დიდ პოლიტიკაში — საერთაშორისო პოლიტიკის ჩათვლით — მონაწილეობის გამოცდილება. პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, მთელი მისი ბიოგრაფიით შემოწმებული ერთგულება და თავგანწირვის უნარი. ასეთ პრეზიდენტს ღმერთი, ალბათ, შემდგომი პოლიტიკური თაობიდან შეგვირჩევს. მაგრამ მინდა ხაზი გავუსვა შემდეგს: არავის არაფერში არ დავდოთ ბრალი და არავის არაფერი ვუსაყვედუროთ ჩვენი თავის გარდა! ის, რომ დღეს ჩვენ არ გვყავს თხუთმეტი კაცი, ვისაც ყველა ეს თვისება ახასიათებს, მხოლოდ ჩვენი ბრალია და სხვა არავისი. პირობები? მართალია, პირობები არ გვეწყობდა ხელს. მაგრამ ღვთისგან ცხებული გენიოსი და გმირი რომ დაგვბადებოდა. ამდენ ხანს (ერთი ან რამდენიმე), მაშინ დარწმუნებული ბრძანდებით, რომ საქმე უკეთესად არ გვექნებოდა? ახლა ვკითხოთ ჩვენს თავს: იყო ვინმე, ვინც თავი გასწირა ავლანეთის დანაშაულებრივი ომიდან საქართველოს მოქალაქეების დასახსნელად და ახლა ცოცხალია? ვინც ამა და ამ ჯალათის დასჯას მიაღწია? ვინც, ვთქვათ, ჩვენი ეკონომიკისა და დემოგრაფიის გასწორების მექანიზმი მოიგონა და საქმის გატანაც შეძლო? მოკლედ რომ ვთქვათ: ვინც დიდი მასშტაბის ბრძოლა მოიგო? არა, არ გვყავს. ჩვენი დღევანდლამდელი მიღწევები რეალურად (ე. ი. იურიდიული მხარის გარდა) ჯერ მხოლოდ ხალხის სამოქმედოდ ამოძრავების ჩარჩოში თავსდება და ჩვენი პოლიტიკური სიმწიფის ხარისხიც, ბუნებრივია, ჯერ მხოლოდ ამ ფსიქოლოგიურ-პოპულისტურ ჩარჩოში ტრიალებს. ანდაზისა არ იყოს, ტარანი თვლით არის. ბუნების კანონები მკაცრია და მათ ვერსად გავექცევით.

**— გეთანხმებით ზოგადად. მაგრამ ბუნებრივად ჩნდება კითხვა, როგორ შევგუაბათ ბუნების კანონთა ეს ცოდნა თქვენს მონაწილეობასთან საპრეზიდენტო დოღში თუ მარათონში?**

— უფრო დოღში, ვინაიდან დისტანცია — ერთი თვე — სარეკორდოდ მოკლე იყო. გიპასუხებთ: ცხადია, რომ ხალხის არჩევანს ასეთ სერიოზულ საკითხში, როგორიც პრეზიდენტის პიროვნებაა, გარკვეული გავლენა აქვს ქვეყნის მომავალ ბედზე. დღეს რასაც გადავწყვეტთ, ხვალ თუ არა ზეგ მაინც იმისი ნაყოფის მომკას ვიწყებთ. მე მიმაჩნია, რომ ხალხს ყოველთვის ჰქონდეს იმის თვალნათლივ ხედვის საშუალება, რომ ვინც აირჩია და რაც აირჩია, თვითონ აირჩია. ეს საჭიროა ჩვენი მომავლისათვის, რომელიც ხალხის პოლიტიკურ სიმწიფეს მოითხოვს. ამიტომ ამომრჩეველს თვალწინ რაც შეიძლება ფართო არჩევანი უნდა გადაეშალო — სხვადასხვა პლატფორმის, სხვადასხვა სტილისა და ბუნების, სხვადასხვა სპეციფიკური პლუსებისა და მინუსების მქონე პიროვნებების სახით. ამიტომ მაინც ვფიქრობ, რომ ჩემი ნაბიჯი სწორი იყო. ჩემმა თეზისებმა, ჩემმა ხაზმა, ჩემმა შემოთავაზებულმა ტაქტიკამ და ჩემმა პიროვნებამ საქართველოში, საარჩევნო კომისიის სტატისტიკით, სულ 35000 ხმა მიიღო. კეთილი და პატიოსანი! ვიცოდეთ ეს ფაქტი და გამოვიყენოთ იგი ამომრჩევლის ხვალინდელი გემოვნების პროგნოზირებისათვის!

**— ნათელია, რომ თქვენ თვალყური მიგიდევნებიათ საპრეზიდენტო არჩევნების პროცესის ფსიქოლოგიური და მსოფლმხედველობრივი მხარისათვის. რაკი ეს ინტერესი გაქვთ, ხომ ვერ მეტყვით, რამე სხვა საგულისხმო დაკვირვება ხომ არ მოგეპოვებათ ამ სფეროში?**

— მაქვს. და, სამწუხაროდ, არც თუ მხიარული. ჩემი შთაბეჭდილებაა, რომ საკმაოდ საგრძნობმა წრემ (მე მგონი, ძირითადად, ინტელიგენტურმა) საარჩევნო ყუთებთან მოსვლისას იმით კი არ იხელმძღვანელა, ვის **მისცეს** ხმა, არამედ იმით, ვის **არ მისცეს** (ან თუ გნებავთ, ვის და ვის არ მისცეს). არსებობს ასეთი ლოგიკაც: „მე დღემდე ხელი არ გამინძრევია პატრიოტული პოლიტიკის სფეროში. შენ გაგინძრევია, გგონია, ამიტომ ხმას მოგცემ? ნურას უკაცრავად!". თუ ვცდები, ღმერთმა შემინდოს!

**— სხვა რა ლოგიკამ იმუშავა, ამ ერთის გარდა, თქვენი აზრით?**

— მე მგონი, ძირითადად, შემდეგმა (ისევ სქემატურად მოგახსენებთ): „ზვიადი გმირია, ვენაცვალე! მას თუ არა, აბა არჩევა ვის ეკუთვნის?". „ზვიადმა თვითონ იცის!". „ღმერთმა ნუ ქნას, პარლამენტი და პრეზიდენტი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ!" და „მრგვალები არ დათმობენ თუ ვერ გაიმარჯვეს, ერთ ამბავს ატეხენ!". ამ ოთახში, მე მგონი, ყველაზე მეტად მეორემ იმუშავა. ისე, კითხვა ძალიან საინტერესოა. ცუდი არ იქნებოდა, ვინმე სოციოლოგს რომ ამ (და ეგებ სხვა) ლოგიკების სტატისტიკური მხარე შეესწავლა.

**— რაკი ჰუმანიტარულ სფეროზე შევჩერდით, ბარემ ერთ თემასაც შევეხოთ. საარჩევნო კამპანიაში, შეხვედრებისას გეკითხებოდნენ ხოლმე: ამდენი წელი, ხანამ ეროვნულ მოძრაობაში დაგინახავდით, სად იყავით? რას აკეთებდით საქართველოს თავისუფლებისათვის სრულწლოვანების მიღწევის დღიდან?**

— ეს კითხვა კანონზომიერია. მას მართლაც, თითქმის ყველა შეხვედრაზე მისვამენ. მისი პასუხი, მართლაც, მმართებს, ისევე როგორც ყველა სხვა კაცს, მაგრამ არა იმ პლეადის წინაშე, ვინც „დისიდენტთა" სახელით არის ცნობილი, არამედ იმათ წინაშე, ვინც საქართველოს თავისუფლების სამსახურში ნამდვილი ტერორის დროს ჩამდგარა, 1921 წლიდან სტალინის სიკვდილამდე და ცოტა უფრო გვიან. პატრიოტს ადრე „დისიდენტი", ანუ „არათანახმა", „აზრგანსხვავებული" კი არ ეწოდებოდა, როგორც სამოცდაათიან წლებში და შემდეგ, არამედ „კონტრა", ანუ „კონტრრევოლუციონერი", ანუ ის, ვინც უსიტყვოდ მოსასპობია. არ მომწყინდება იმის გამეორება, რომ საქართველოში 1921 წლიდან 50-იანი წლების შუამდე მაინც წელი ან ორი წელი ისე არ გასულა თითქმის, რომ ერთი „ნაციონალისტური" ჯგუფი მაინც არ დაეჭირათ და დახვრეტით ან მაქსიმალურვადიანი პატიმრობით არ დაესაჯათ. ჩემი თაობის კაცს თუ ვინმეს წინაშე პასუხი ჰმართებს ზემოხსენებულ კითხვაზე, **მხოლოდ** ამ ადამიანების წინაშე ჰმართებს. პასუხი ასეთია: ქართველ პატრიოტთა 99,9 პროცენტი იმ აზრის იყო, რომ საქართველოს დროებით მიჩუმება, ძალთა შენახვა და დაგროვება ჰმართებს, რათა მაშინ წამოდგეს, როცა საამისო მომენტი დადგება. მე ვფიქრობ, რომ ერის ეს ტაქტიკა, ზოგადად აღებული, მაშინ ერთადერთი შესაძლებელი იყო. პირადად მე ამ პასუხის გაცემა არ მჭირდება, რათა პირნათელი ვიყო ღვთისა და კაცის წინაშე (შემდგომ განმარტებას, ცხადია, არ ვიკადრებ), მაგრამ თაობას ზოგადად კი სჭირდება. იმისთვის, ვისი მხრიდანაც ეს პასუხი გულწრფელია (და მხოლოდ გულგრილობის, სილაჩრის ან სიზარმაცის ნიღაბი არაა), იგი გამართლებად კმარა, ვისთვისაც გულწრფელი არაა, ის, ცხადია, სამარადისოდ პირშავი რჩება. ჩემი სუბიექტური პოზიცია თუ გინდათ (რაკიღა თავს უფლება მივეცით ამ საუბარში პოლიტიკის გარეთ დავდგეთ), ბარემ ამასაც მოგახსენებთ. ის ვითარება, რომელსაც მე შინაგანად შემიძლია მთელი სულითა და გულით ავყვე, მხოლოდ პალიტრის ძირითადი ფერებით ნახატი ვითარებაა, სტენდალისეული სიმბოლიკით რომ გითხრათ, წითლითა და შავით ნახატი ვითარებაა. მე მგონი, ეს მარტო მე არ მეხება. ეს ზოგადად ადამიანური ბუნების თვისებაა. როდესაც საქმეში ნაზავი და, შესაბამისად, უფრო მრავალრიცხოვანი და რთული ფერები შემოდის, როცა ჩნდება რეალური პოლიტიკა თავისი ყოველდღიური პრობლემებით, მსხვილის და წვრილის ჩათვლით, მაშინ ჩვენი ე. წ. ადამიანური ბუნების დატვირთვის ზომა და ხასიათიც იცვლება. თქვენ ისეთივე ემოციური მუხტით ვერ მოეკიდებით, მაგალითად, პარტიათა ურთიერთობაში ქულის მოპოვებას, როგორითაც არჩევანს მოქმედებასა და უმოქმედობას შორის სტალინის დროს. დღეს ყოველდღიური პოლიტიკა, თავისი ნაკლებ მასშტაბური პრობლემებითურთ, რეალობაა. ამიტომ დღეს იძულებულნი ვართ ჩვენი მოქმედება ნაკლებ დავუკავშიროთ ჩვენი ბუნების იმ ძირძველ საწყისებს, რომლებიც ე. წ. ექსტრემალურ სიტუაციებში იჩენენ თავს და ჩვენი ყველა ექსტრემალური ღვაწლის, ყველა საგმირო საქმისა და მორალური რეკორდის საბოლოო საფუძველი არიან, და მეტად დავუკავშიროთ იგი ცივ ანგარიშს, გათვლას და რაც შეიძლება მრავალსაფეხურიან დაგეგმვას. თავისი იმ ყველაზე ღრმა საწყისების ამუშავება, „შავსა" და „წითელს" რომ ვუწოდებ, ადამიანისათვის ზეიმია, ისევე როგორც ზვიადაურისთვის ზეიმი იყო „სტუმარ-მასპინძელში" აღწერილი ეპიზოდი ან ერეკლესთვის ზეიმი იყო კრტა ბელადზე გამარჯვება ორთაბრძოლაში. მაგრამ ცხოვრება მხოლოდ ზეიმებისაგან არ შედგება, არამედ, პირველ ყოვლისა, სადაგი დღეებისაგან. მაშ, ვიყოთ ღვთისგან ბოძებულ ზეიმთა მართლაც მომლოდინენი, ვიყოთ მზანი ამ ზეიმებისათვის, და ჩვენი დღეები ჩვენი ყოველდღიური მოვალეობის პირნათლად შესრულებაში გავატაროთ! იმათ წინაშე, ვისთანაც საქართველოს გადარჩენის ვალი გვაწევს, მე მგონი, ამ ვალს ყველაზე უკეთესად სწორედ ამ გზით მოვიხდით.

**— ახლა კი, მგონია, სჯობია საქმეს დავუბრუნდეთ. მხედველობაში მაქვს აქტუალური პოლიტიკა. როგორ გესახებათ ჩვენი ვითარება დღეს? ვითარება, რომელიც, ცხადია, სადაგი დღის პრობლემებთან ერთად ექსტრემალური სიმწვავის პრობლემებსაც მოიცავს?**

— დიაღაც, მოიცავს. მე მგონი, ეს ვითარება ზოგადად ასე უნდა დავახასიათოთ: იმპერიის პირველი მიზანია, ახალ ფედერაციაში შეგვათრიოს, ამისთვის მას სჭირდება საქართველოში ან ისეთი ხელისუფლება, რომელიც ხალხში სახელგატეხილი არაა, მაგრამ ამავე დროს იმპერიის გეგმებს ემორჩილება, ან ისეთი, რომელიც ფუნდამენტურ შეცდომებს უშვებს. იმპერიას ჩვენი შეცდომების იმედი აქვს (ანდაზისა არ იყოს, ზოგ-ზოგი მიუშვი ნებასა, თვით შეეყრება სნებასაო) და ჩვენ მას ეს იმედი არ უნდა გავუმართლოთ. იმპერიას იმედი აქვს, რომ თავისი უდიდესი შესაძლებლობების გამოყენებით ერთის მხრივ და ჩვენი შეცდომებით მეორე მხრივ ისეთ მდგომარეობამდე მიგვიყვანს, როცა წინ უფსკრულის გარდა სხვა არაფერი გვექნება და სასოწარკვეთაში ჩავარდნილი მოქალაქე იყვირებს: „აღარ მინდა თავისუფლება! შემიყვანეთ ფედერაციაში, ოღონდ პური მომეცითო", როცა ჩიხში მომწყვდეული ქვეყანა ყელგამოწვდილი შევედრება იმპერიას: „თუნდ ბორკილი დაგვადე, ოღონდ მამა-პაპის სისხლითა და ოფლით მორწყულ მიწას ნუ წაგვართმევო". თუ ეს მოხდა, მაშინ საქართველოს დღევანდელ ხელისუფალთ, თავის უმრავლესობა — უმცირესობითურთ, საფეთქელში ტყვია ჰმართებთ (როგორც დივიზიაგანადგურებული გენერალი აკეთებს) და არა გადადგომა. მაგრამ ჩვენი ვალია, ეს ხვედრი დროული სიმტკიცით და დროული სიბრძნით ავიცილოთ.

**— ეს ადვილი სათქმელია და ძნელი შესასრულებელი. ამიტომ, თქვენი პასუხი დაკონკრეტებას მოითხოვს. როგორ გესახებათ, მაგალითად, ჩვენი წინააღმდეგობის გაწევა სსრკ პრეზიდენტის, პარლამენტის და მთავრობის ასეთი პოზიციისადმი: ჯერ ჩვენს შემადგენლობაში ხართ, რამდენადაც ჩვენ არ გვიცვნია თქვენი გასვლა ჩვენი 1990 წლის 11 აპრილის კანონის შესაბამისად, და ჩვენი კანონები, პრეზიდენტის ბრძანებულებითურთ, თქვენთანაც ძალაშიაო.**

— სსრკ პრეზიდენტის თანამდებობის შემოღება, ისევე როგორც 1990 წლის 11 აპრილის კანონი, ანუ სსრკ შემადგენლობიდან რესპუბლიკის გასვლის წესის კანონი (ფაქტობრივად, რესპუბლიკის ვერგასვლის კანონი) ჩვენს ჩვენივე კონსტიტუციით დაფიქსირებულ უფლებამოსილებას ცვლიდა, მაშასადამე, არავის ჰქონდა უფლება მისი მიღებისა ჩვენი უზენაესი საბჭოს დადგენილების გარეშე. ამიტომ ჩვენ არც სსრკ პრეზიდენტის ჩვენ მიმართ უფლებამოსილების, არც 11 აპრილის კანონის ჩვენ მიმართ ძალაში ყოფნის ცნობა არც გვმართებდა და არც გვმართებს, სსრკ პრეზიდენტის „ბრძანებულება" ჩვენი ვითარების მიმართ არის აგრესია ჩვენს წინააღმდეგ, ჩვენ მიერ არცნობილი და არსაცნობი, სსრკ პრეზიდენტი ვერ იქნება **გარანტი** სსრკ კონსტიტუციისა მის იმ პუნქტებში, რომელიც ჩვენ გვეხება, ისევე როგორც სსრკ კონსტიტუცია ვერ განგვისაზღვრავს და ვერ განგვისაზღვრავდა სსრკ-დან გასვლის წესს. ეს ყველაფერი მკაფიოდ და მსოფლიოს გასაგებად უნდა თქმულიყო და ახლაც უნდა ითქვას დახვეწილი იურიდიული ენით. აგრესიას აგრესია უნდა ეწოდოს, შეიარაღებულ თავდასხმას — შეიარაღებული თავდასხმა და ა. შ. ამასთანავე, ისევ და ისევ გამართული იურიდიული ენით უნდა მოეთხოვოს სსრკ პრეზიდენტს და პარლამენტს კონსტიტუციიდან ამოიღონ როგორც საქართველოს, ისე ჩვენი შინაგანი სახელმწიფოებრივი წყობის ხსენება. ჩვენ **უკვე** გამოცხადებული გვაქვს იურიდიული ბრძოლა იმპერიასთან. ეს იმას ნიშნავს, რომ ეს ბრძოლა იურიდიული იარაღის სრული გამოყენებით უნდა ვაწარმოოთ.

**— რეალური ძალა?**

— ამჯერად მხოლოდ იურიდიულ ბრძოლაზე მოგახსენებთ. იგი დამოუკიდებელია რეალური ძალისაგან. რაც შეეხება რეალურ ძალას, ყოველ შემთხვევაში, ის მაინც უეჭველია, რომ იგი ნოლს არ უნდა უდრიდეს. ნოლზე გამრავლებული ნებისმიერი სიდიდე, ხომ ისევ ნოლია! ერთ-ერთი ყველაზე დიდი ნაკლი — პირდაპირ გეტყვით, მიუტევებელი ნაკლი საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების საქმიანობაში ჩემის აზრით, ის გახლავთ, რომ მან ამ სასწრაფოზე სასწრაფო საქმეში დიდი დრო გააცდინა და იმის განცხადებაც კი ვერ გაბედა, რომ საქართველოს არმიის შექმნის უფლება აქვს. საქართველოს შეიარაღებული ძალები დღეს **გაწვევის** პრინციპზე ვერ აიგება. გაწვევას იძულების აპარატი უნდა, რომელიც არ არსებობს და ვერც შეიქმნება, პრაქტიკულად, დღევანდელი ხელისუფლების მიერ. არმია უნდა იყოს პროფესიული და იგი მოხალისეობის პრინციპზე უნდა შედგეს (რა თქმა უნდა, საყოველთაო და სავალდებულო სამხედრო **სწავლების** ფონზე სკოლაში და უმაღლესში). საქართველო დღეს თავისი ახალი ისტორიის იმ საფეხურზეა, როცა ახალი ელიტა უნდა იშვას, რა თქმა უნდა, სამხედრო ელიტის, ბრძოლის უნარით დაჯილდოებულ ადამიანთა ელიტის ჩათვლით.

**— იძულების აპარატის ხსენებამ მომაგონა. როგორ ფიქრობთ: მართალნი არიან ისინი, ვინც ამბობს, საქართველოს დიქტატურის საშიშროება ემუქრებაო?**

— ამას მეც ვამბობ ხოლმე, მაგრამ არა ასეთი პესიმისტური ფორმით. დიქტატურისკენ განვითარების ტენდენციას ვხედავ იმაში, რომ მართვის პარტიული პრინციპი (ზოგი პარტიის წევრები მონაწილეობენ მართვაში, ზოგისანი — არა) ფართოვდება ხაზით: პარლამენტი, მთავრობა, პრეფექტურები, ხელმძღვანელი თანამდებობები საერთოდ. დიქტატურის ელემენტია, მაგალითად, დაუსჯელი ცილისწამება გაზეთში, ტელევიზიის კონტროლი, პრეზიდენტისთვის პარლამენტის უმოტივოდ დათხოვნის უფლება. მაგრამ დიქტატურასაც უნდა იძულების ისეთი აპარატი, რომელიც ვერ შეიქმნება. ამიტომ ვამბობ: საქართველოში ისეთი დიქტატურა ვერ გაიხარებს, რომელსაც მხარს არ უჭერს ძლიერი უცხო არმია. ამაში მდგომარეობს ჩემი ოპტიმიზმი ამ კერძო საკითხში. მაგრამ ეს ოპტიმიზმი უსაზღვრო არაა. უცხო არმიის ფაქტორი დღესაც მოქმედებს ჩვენში იმ უკრიტიკო დამოკიდებულების შექმნის მიმართულებით, ზემოთ რომ ვახსენეთ. ოკუპანტის ჯარი რომ ჩვენს ტერიტორიაზე არ იდგეს, მაშინ ჩვენს საკუთარ პასუხისმგებლობასაც ჩვენსავე ბედზე ალბათ უკეთ ვიგრძნობდით, ვიდრე ახლა ვგრძნობთ, და პოლიტიკურად უფრო თვალღიანი ვიქნებოდით.

**— წეღან ახსენეთ იმპერიის ერთი სცენარი, რომელიც, თქვენი სიტყვით, ყველაზე უფრო ალბათია. სხვა სცენარს თუ ხედავთ რამე მის არსენალში?**

— როგორ არა. მაგალითად, შემდეგს. კრიზისულ ვითარებაში პრეზიდენტი პარლამენტს შლის და ახალ არჩევნებს ნიშნავს. მაშინ იმპერიული ძალები რაზმავენ მთელ თავის შესაძლებლობებს, რომლებიც ოქტომბერ-ნოემბრის არჩევნებზე არ გამოუყენებიათ, ჩვენი ინტერესების წინააღმდეგ წამსვლელ პარლამენტს ქმნიან (რისთვისაც, რა თქმა უნდა, აუცილებელია ჩვენი წინასწარვე მიჩხუბვა, როგორც ზემოთ ვთქვით). კიდევ სცენარი (უფრო ვერაგი): ქმნიან ახალ პარტიას (ან პარტიებს), რომელიც უაღრესად სწორი და გონივრული **სოციალური** პროგრამით გამოდის, მაგრამ **საკავშიროა** და ამ სოციალური ლოზუნგებით ცდილობს ამომრჩეველ მასის თვალში ეროვნული დამოუკიდებლობის ამოცანა დაჩრდილოს. სცენარი ბევრი შეიძლება. რა თქმა უნდა, ისევ და ისევ კატასტროფული გაჭირვების ფონზე.

**— რამე თუ გაძლევთ იმედს, რომ ეს გეგმები ვერ განხორციელდება?**

— დიახ, მაძლევს. ვერ მოვიტყუებ, ამ იმედს საშუალო მოქალაქის პოლიტიკური განვითარების დონე ვერ მომცემს. იგი, ჩემის აზრით, უაღრესად დაბალია, ნაკლებ განვითარებულ ამომრჩეველში კი — კატასტროფულად დაბალი. მაგრამ ამ დროის მანძილზე რაც პრაქტიკულად შევხვდი საქართველოსთვის ბრძოლას მონდომებული ადამიანების **დიდ რაოდენობას** (რაღა მივკიბ-მოვკიბო — **მასას**), რაც ადრე შეუძლებელი იყო მე დავინახე როგორც გამბედაობის, ისე ორგანიზაციის უნარის ისეთი ხარისხი, რომელსაც, ჩემის აზრით ყველგან ვერ ნახავ. ასეთი უნარით აღჭურვილ ადამიანთა რაოდენობა ჯერ ძალიან მცირე ჩანს — იგი ერთ-ორ პროცენტს თუ შეადგენს (და ძალიან დიდ პროცენტამდე, რა თქმა უნდა, ვერასოდეს გაიზრდება, ეს ბუნების საწინააღმდეგო იქნებოდა). მაგრამ იგი გაიზრდება **პრაქტიკულ პოლიტიკაში ერის უფრო და უფრო ფართო შრეების ჩაბმის სახით.** ჩემთვის სრულებით ნათელია, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში სულ მოკლე ხანში არა მარტო ადამიანთა ახალი მასა, არამედ **ადამიანის სხვა ტიპიც** მოვა, რომელიც ქვეყნის საქმეს თავის მტკიცე ხელს და ფხიზელ გონებას შეაშველებს. ეს თუ არ მოხდა, უფსკრულში გადაჩეხვას ვერ ავცდებით. მაგრამ ეს აუცილებლად მოხდება. ნუ მოვაკლებთ მცდელობას, რომ ეს რაც შეიძლება მალე მოხდეს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა მოხდა საქართველოს ტელევიზიაში?

**საქართველოს** ტელე-რადიო კომიტეტის 160-მდე თანამშრომელი 11 თებერვალს მოულოდნელად ქუჩაში აღმოჩნდით, ახლად დანიშნული თავმჯდომარის ბრძანებით. თანაც ისეთი ელვის სისწრაფით გაგვრეცეს, საკუთარი წიგნებისა და ხელნაწერების აღებაც „არ გვაცალეს". კანონის ენაზე კი ამ „ლიკვიდაციას" პენსიაზე გაშვება დაერქვა. მიზეზი? კომუნისტური რეჟიმის დროინდელი კანონმდებლობის 34[1] პრიმა მუხლი, რომელიც ისტატურად გამოიყენა კომიტეტის ხელმძღვანელობამ **არასასურველ თანამშრომელთა მოცილების მიზნით.** ეს არ იყო ზანდაზმულთა, დამსახურებულთა დამსახურებულ დასვენებაზე გაშვება, არც რეორგანიზაცია-შემცირება კომიტეტის სტრუქტურის შეცვლის გამო. ეს იყო მუშტმოღერებული **ანგარიშსწორება** ზოგიერთების მიმართ, რასაც შეეწირეთ დანარჩენებიც. ხელმძღვანელობის „ლოგიკით" თურმე საპენსიო ასაკის შესრულების დღესვე ადამიანი **კარგავს შრომის უნარს, პროფესიონალიზმს.** ტელე-რადიო კომიტეტიდან გაძევებული 160 თანამშრომლიდან, თითზე ჩამოსათვლელი როდია ჟურნალისტები, რომლებსაც ტოტალური რეჟიმის პირობებშიც ვერ ჩაუკლეს სამშობლოსადმი სიყვარული და თავდადება, რომლებმაც მაღალ პროფესიულ დონეზე მოამზადეს არაერთი გადაცემა და ტელენარკვევი. ხშირად ამ გადაცემის მონაწილენი იყვნენ დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები.

პენსიაზე გასვლა ისედაც მტკივნეული პროცესია, მაშინაც კი, როცა საკუთარი ნება-სურვილით მიდიხარ. ხოლო როცა ასე „გაცილებენ"... იმგვარი შეურაცხმყოფელი, ცინიკური ფორმით, რაც დაუშვებელია ცივილიზებულ საზოგადოებაში, ცივილიზებული ადამიანისათვის. ისე სწრაფად, არალეგალურად გაფორმდა განთავისუფლების ბრძანებები, რომ არ გაითვალისწინეს მუშაკთა არც პროფესიული დონე, არც შრომისუნარიანობა, არც ოჯახური მდგომარეობა. სია შედგენილ იქნა მექანიკურად, მეტრიკული მონაცემებისა და სატაბელო ნომრების მიხედვით, თქვენ წარმოიდგინეთ, ეს სია გამოაკრეს შენობის ვესტიბიულში, იმ დაფაზე, სადაც გარდაცვლილ თანამშრომელთა სურათს აკრავენ ხოლმე მოწყენილ მიწაკთან ერთად. ამ შავ სიაში აღმოჩნდნენ როგორც ხანდაზმული, ასევე საპენსიო ასაკს ახლად მიღწეული ჟურნალისტები, რეჟისორები, რედაქტორები და ა. შ. სიაში განუკითხავად შეიტანეს მარტოხელა დედები, 37 წელში რეპრესირებულთა შვილები (კერძოდ, ამ სტრიქონების ავტორი), ორი-სამი არასრულწლოვანისა და სტუდენტთა მშობლები, უპატრონო ბავშვთა სახლიდან გამოყვანილი ბავშვების აღმზრდელნი, ოჯახის მარჩენალი მამები... როგორც ჩანს, იურისტები ამაოდ ირჯებიან, როდესაც აქვეყნებენ პრესაში საპენსიო ასაკთან დაკავშირებით შრომის დაცვის კანონს.

თავდაპირველად, ან არალეგალური სიის არსებობაზე სხვადასხვა გზით გავიგეთ. ზოგს დერეფანში ჩუმად ყურში ჩასჩურჩულეს — „სიაში ხარო", ზოგს კომიტეტის სასურსათო მაღაზიაში რიგში დგომისას მიაწოდეს არასასიამოვნო ცნობა, ზოგს ტელეფონით შეატყობინეს. მთავარ რედაქტორებს, მათ მოადგილეებსა და განყოფილებათა გამგეებს, დილით სამუშაოზე მოსულებს მაგიდაზე დაახვედრეს ბრძანება. ზოგს კი თათბირზე გამოუცხადეს: „ჩაბრძანდით კადრებში და ნახეთ ბრძანებებიო". ხოლო ზოგიერთებს, 11 თებერვალს გათავისუფლებულებს, 14 თებერვალს ბინაზე დეპეშით აცნობეს: „სასწრაფოდ გამოცხადდით და წაიღეთ თქვენი საბუთებიო", **ახე ხომ წესიერი მეეზოვეც არ მოხვეტს ხოლმე გამხმარ ფოთლებს.**

ღვაწლმოსილი მუშაკებისთვის მშრალი მადლობა მაინც ეთქვათ, ასე მოხდილი ქაფივით რომ გადაღვარეს ქუჩაში. იცოდნენ კი, ამ განდევნილთაგან ვის უპირს და რა უპირს, ვინ ვინ არის? თავმჯდომარეს, რომელიც პოსტზე დანიშვნიდან ორი თვე არავის გვინახავს, სამსახურში რომ ევლო, გასცნობოდა კოლექტივს, შეიძლება ასეთი უზნეო ფორმით არც ჩაეტარებინა ეს პროცესი.

კი ბატონო, შესმის, საპენსიო ასაკი საპენსიო ასაკია. მაგრამ განა აუცილებელი იყო 34[1] პრიმა მუხლი **შემოქმედებითი მუშაკების** მიმართ გამოეყენებინათ? ესე იგი, მათთვის ხის წლოვანებაა მთავარი და არა ის, თუ როგორ ჰყავის და რას იხზამს. ისეთი ტემპით გაყარეს ხალხი, რომ პენსიის დაანგარიშება არ აცდოვეს. მეოთხე თვე იწურება და უსახსროდ დარჩენილები დღესაც პენსიის მოლოდინში ვართ. დაპირებები, იცოცხლეთ, უამრავი მოგვცეს — ორი წლით ხელშეკრულებას გაგიფორმებთო (რომელიც შემდეგ 6 თვემდე შეამცირეს), შტატგარეშედ გათანამშრომლებთო, პენსიის დანამატს, 100 მანეთს მიიღებთო (ამ ასი მანეთის თაობაზე პრესაშიც კი გამოაქვეყნეს). არაფერი ამ დაპირებებიდან არ შესრულებულა. ყველაფერი ეს ადმინისტრაციის დაპირდა აღშფოთებული თანამშრომლების დასამშვიდებელ-გასაჩუმებლად. უფრო სწორად, დრო მოიგეს. როდესაც თავმჯდომარემ და მისმა ოთხმა მოადგილემ ასეთი კომუნისტური მეთოდით გაყარეს „დაიმედებული" თანამშრომლები, ამ დროს პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე „დახუჭობანას" თამაშობდა — პრეზიდიუმის სხდომაზე დადგენილი წესით არ განიხილა თითოეულ მუშაკზე განთავისუფლების თანხმობის მიცემის საკითხი განა ეს კანონის დარღვევა არ არის?! განა ეს ხელმძღვანელობის ავტორიტარიზმზე არ მეტყველებს?!

ვფიქრობ, ინტერესმოკლებული არ იქნება საზოგადოებისათვის, თუ გაეცნობა პროფკომიტეტის პრეზიდიუმის 7 თებერვლის სხდომის ოქმიდან ერთ ფრაგმენტს: **„სავსებით სწორია და ვეთანხმები კომიტეტის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებას. ბევრი მათგანი დიდი ხანია იმსახურებს დასვენებას. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბევრი მათგანის შრომას აღარ მოაქვს საჭირო შედეგი. ზოგის მუშაობის სტილი და აზროვნება მოძველებულია, საჭიროებს ხნვა ენერგიას და ხედვას".** აი, ასეთ შეურაცხმყოფელ, ზერელე დახასიათებას იძლევა პროფკომიტეტის თავმჯდომარე ქ. ალიაშვილი, რომელიც, დიდი ხანი არ არის, რაც მუშაობს ამ თანამდებობაზე და არც იცნობს კოლექტივს. ისიც არ იცის ქ. ალიაშვილმა, რომ პარლამენტის მიერ **ხელმძღვანელ პოსტებზე დანიშნულ იქნა როგორც საპენსიო ასაკის, ასევე საპენსიო ასაკს გადაცილებული პირები.** როგორც იტყვიან, „რაც ეპატიება იუპიტერს, არ ეპატიება ხარს"!

ტელე-რადიო კომიტეტის თავმჯდომარემ, ბატონმა თ. ქვანტალიანმა 27 მარტს, თანამშრომელთა ურთიერთ დაპირისპირების მიზნით, გამოსცა იმგვარი ბრძანება, რომლითაც მთლიანად „ჩამოიწერენ" კვალიფიციური მუშაკები. გთავაზობთ ამ ბრძანების ტექსტს:

**„იმასთან დაკავშირებით, რომ მოხუცებულობის გამო სრული პენსიის უფლების მქონე საპენსიო ასაკს მიღწეულ სამსახურიდან განთავისუფლებულ თანამშრომლების კოლექტიური საჩივრის შესწავლა რესპუბლიკის პროკურატურასა და კულტურის მუშაკთა დარგობრივ პროფკავშირს ჯერ არ დაუმთავრებია, საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე ვბრძანებ:**

**1. შეჩერდეს საპენსიო ასაკთან დაკავშირებით სამსახურიდან განთავისუფლებულ თანამშრომლებთან შრომითი ხელშეკრულების დადება და შტატგარეშე ავტორებად მიღება.**

**2. დეპარტამენტის დებულების დამტკიცებამდე სტრუქტურულმა დანაყოფებმა თავი შეიკავონ პენსიაზე გადასულ ყოფილ თანამშრომელთა გადაცემებზე მოწვევისაგან.**

**3. შეჩერდეს პენსიის დანამატის დანიშვნა აღნიშნულ პირებზე.**

**4. მთავარი რედაქციების მთავარმა რედაქტორებმა (დირექტორებმა) 1991 წლის პირველ აპრილამდე გამოსახონ საკუთარი რესურსები პენსიაზე გასულ მუშაკების შესაცვლელად.**

**კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე დაევალოთ თავმჯდომარის მოადგილეებს გ. არგანაშვილსა და ჟ. კოკაიას.**

**საფუძველი: კოლეგიის 27 მარტი — 91 წ. დადგენილება, ოქმი № 4(3). კომიტეტის თავმჯდომარე თ. ქვანტალიანი.**

უკვე ორი თვეა პროკურატურიდან დასკვნა მიღებული აქვს, მაგრამ თავმჯდომარე „დიპლომატიურად" სდუმს!..

სამწუხაროდ, ტელე-რადიო დეპარტამენტში ზოგიერთს, თავმჯდომარის მისამართით მიმართული სამართლიანი კრიტიკა პარლამენტის საწინააღმდეგო მოქმედებად მიაჩნია. ეს ხომ უზნეობაა.

კოლექტივში დაძაბულობა თავმჯდომარის აგრესიულობამ გამოიწვია. კოლექტივში გაჩნდა ბზარი. პრესაში გამოქვეყნდა ზოგიერთი თანამშრომლის, კოლეგებისადმი ყოვლად უსამართლო ბრალდებებით სავსე წერილები, ისიც ფალსიფიცირებული ხელმოწერებით. ზოგი მთლად გაჩუმდა, ზოგი — ნახევრად, ზოგი მოხსნის შიშით გაიტრუნა. ასე იყო თუ ისე, კოლექტივის დიდი ნაწილის თხოვნას ანგარიში არ გაეწია და კომიტეტის ახალი თავმჯდომარე ტელე-რადიო დეპარტამენტის გენერალური დირექტორი გახდა. ქურუმებიც უმალ გაჩნდნენ, — მისი დიდების პირამიდის ასაშენებლად. ვინც საპროტესტო კრებაზე თავმჯდომარის მიართდასაპირად აზრი გამოთქვა, დაწინაურებით დააჯილდოვეს. როგორც ამბობენ, საპენსიო ასაკის თანამშრომლებს უკვე აღარ უშვებენ სამსახურიდან. ეს ნამდვილად მისასალმებელია. თუმცა, შეიძლება მიზეზი ის იყოს, რომ მათ შორის ჯერჯერობით ხელმძღვანელობისათვის არასასურველი მუშაკები არ ურევია.

ასე იყო, ასე ხდებოდა ადრე და სამწუხაროდ, დღესაც ასეა, მაინც მჯერა, რომ მოვა სიმართლე, მოვა რწმენა, მაგრამ ძნელია როცა სულს გიკლავენ...

**ლია ჩარგაზია**

# შეხვედრა „მეოთხე სვეტში"

**ჩემს მოვალეობად მიმაჩნია საზოგადოების ინფორმირება შემდეგზე:**

**საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების წინა ხანებში შემატყობინეს ბატონ ჯაბა იოსელიანის სურვილი, რომ იგი უშიშროების დეპარტამენტის შინაგან ციხეში მოენახულებინათ პრეზიდენტობის კანდიდატებს. მათ შორის მეც. ამ თხოვნით მივმართე საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს ბატონ ვახტანგ რაზმაძეს. მისი ნებართვით ვინახულე პატიმარი ზემოხსენებულ ციხეში, მაგრამ ეს მოხდა არა არჩევნებამდე, არამედ არჩევნების შემდეგ. ჩემი ვიზიტის დღე დაემთხვა ჯ. იოსელიანის შიმშილობის 82-ე დღეს. საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ ჯ. იოსელიანმა ბოდიში მოიხადა, აცეტონის ფაქტორის დამოწმებით, და ოდნავ მოშორებით დაჯდა. შეხვედრაში მონაწილეობდნენ ადვოკატი ქ-ნი მარინე (გვარი არ ვიცი) და ბატონი გიორგი წურწუმია, რომელიც გამოძიებას ხელმძღვანელობს.**

**საუბარში ჯ. იოსელიანმა აღნიშნა, რომ მისი სურვილი ჩემი ნახვისა ეხებოდა არჩევნებამდელ პერიოდს. მისი შიმშილობის მოთხოვნებია: განთავისუფლება „მხედრიონის" წევრი იმ პატიმრებისა, ვისაც იარაღის ქონის გარდა სხვა ბრალდება არა აქვს წაყენებული; პრეზიდენტობის კანდიდატებთან შეხვედრა; არჩევნებთან დაკავშირებით ჩამოსულ მეთვალყურეებთან შეხვედრა; იმ პარიტეტული (მრგვალი მაგიდა — კონგრესი) კომისიის მუშაობის დაწყება, რომელიც შეიქმნა ადრე; ჰელსინკის მოძრაობის საერთაშორისო ორგანიზაციების, აგრეთვე გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრა. კომენტარის სახით დავძენ, რომ მეორე და მესამე მოთხოვნა, ჩემის აზრით, ძალაში მხოლოდ პრეზიდენტის არჩევნების დამთავრებამდე იყო.**

**საჭიროდ მიმაჩნია მკითხველს მოვახსენო ისიც, რომ ოთახში, სადაც ჩვენი საუბარი შედგა, ძერჟინსკის დიდი სურათი ეკიდა.**

**ნ. ნათაძე**




საგამომცემლო ფირმა „ორნატიმა" გამოსცა ნოდარ ნათაძის წიგნი „სისხლიანი პარასკევი". ავტორი უშუალო შემსწრეა 1956 წლის 9 მარტს თბილისში მომხდარი ხოცვა-ჟლეტისა. სწორედ ამ მოვლენის შესახებ მოგვითხრობს იგი და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, 9 მარტის სისხლიანი ტრაგედიის მაგალითზე ამჟღავნებს საბჭოთა იმპერიის ყოველი სადამსჯელო აქციის მოქმედების მექანიზმს...

ამ წიგნის მთელ შემოსავალს ავტორი გადარიცხავს საქველმოქმედო მიზნით, ხოლო გაზეთ „საქართველოს" ხელმომწერებს ეს წიგნი უფასოდ დაურიგდება.



მურთაზ აბაშიძის ნახატი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დისკუსია — საით მიდი

გია ნოდია

# ერის გამოღვიძება ახლა იწყება

როდესაც ამ სამი წლის წინ საქართველოში მასობრივი ეროვნული მოძრაობა დაიწყო, მისი პირველი აქციების საზრისს „ერის გამოღვიძებაში“ ვხედავდით. იგულისხმებოდა, რომ მასობრივი მანიფესტაციები და შიმშილობები თავისთავად დიდად ვერ დაგვაახლოვებს საბოლოო მიზანს — საქართველოს დამოუკიდებლობას, ამიტომ მათ არც უნდა მოვთხოვოთ დიდი პოლიტიკური სიბრძნე და აწონ-დაწონილობა, მთავარი მიზანია — ერი გამოაღვიძონ. ამ თვალსაზრისით განიხილებოდა 9 აპრილის ტრაგედიაც — მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას იმაში ხედავდნენ, რომ მან ეროვნულ ცნობიერებას „შოკური თერაპია“ ჩაუტარა და ნიღაბმოშარჯვებული მტრის მეტად კონკრეტული ხატის ფონზე ეროვნული დამოუკიდებლობის იდეა საბოლოოდ გააბატონა. ამ ლოგიკით, გვინდა არ გვინდა, ისიც გამოდის, რომ ჯალათი როდიონოვი და ხოცვა-ჟლეტის სხვა ორგანიზატორები, ნეგატიური აზრით, მაგრამ მაინც „ერის გამომღვიძებელთა“ როლში აღმოჩნდნენ. ხოლო საბოლოო და სრული გამოფხიზლების მოწმობა იყო შარშანდელი შემოდგომის საპარლამენტო არჩევნები, და, განსაკუთრებით, წლევანდელი რეფერენდუმი, რომელმაც ტრიუმფულად გამოხატა ქართველი ხალხის, უფრო სწორად, საქართველოს ხალხის ნება, იყოს დამოუკიდებელი.

თემურ მირიანაშვილის წერილში კი, რომელიც განსაკუთრებით გაბედულია იმით, რომ „შეურიგებელი ცენტრიზმის“ პოზიციიდან არის დაწერილი, ჩვენი ვითარება სულ სხვაგვარად არის აღწერილი: საქართველო სულაც არ ჰგავს კარგად გამოფხიზლებულ კაცს, რომელიც სალად აფასებს თავის მდგომარეობას და შესაძლებლობებს და ამ შეფასების საფუძველზე მოქმედებს; „ჩვენ, — წერს თ. მირიანაშვილი, — კისრისტეხით მივილტვით საითღაც უკომპასოდ, ურუქოდ, უსაგზლოდ“.

სამწუხაროდ, ვითარების ამგვარ შეფასებას მეც უნდა დავეთანხმო. დამოუკიდებლობის იდეა ჩვენთვის აბსტრაქტულ, ლამის ესთეტიკურ იდეალად რჩება, რომლის კონკრეტულ შინაარსზე და მიღწევის გზებზე მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა გვაქვს. ამის ილუსტრაციად გამოდგება თუნდაც ჩვენს პრესაში გამართული დისკუსია იმის შესახებ, რა დავარქვათ მომავალ ქართულ ეროვნულ ვალუტას (ეროვნული ფული რომ დამოუკიდებლობის ერთ-ერთი ძირითადი ატრიბუტია, ეს კი ვიცით). თუ რა რთული და მტკივნეული ეკონომიკური პრობლემები ახლავს ეროვნული ვალუტის შემოღებას, და როგორ უნდა გადავჭრათ ისინი — ეს თითქოს მეორეხარისხოვანია.

ამის მთავარ მიზეზს თ. მირიანაშვილი იმაში ხედავს, რომ გვაკლია ჩვენს წინაშე მდგომი პრობლემების კონცეპტუალური გააზრება. ეს სრულიად სწორია; ოღონდ — ვისი ბრალია? ქართული ინტელიგენცია ამისთვის საყვედურს ნამდვილად იმსახურებს; მაგრამ თუნდაც მსოფლიოს უჭკვიანესი ექსპერტები მოგვეწვია და უკიდურესად გააზრებული „კონცეფციები“ და „პროგრამები“ დაგვეხვავებინა, ეს, ჩემი აზრით, ვითარებას არსებითად ვერ შეცვლიდა. ერის კულტურულ და პოლიტიკურ სახეს განსაზღვრავს არა თეორეტიკოსთა მცირერიცხოვანი ელიტა, არამედ სოციალურად აქტიური ადამიანების აზროვნების საშუალო დონე, ის მოარული აზრები და შეხედულებები, რაც ამ ფენაშია მიღებული. თუ აქ არ არის მოთხოვნილება გააზრებული მოქმედებისა, არც „კონცეფციები“ შეიქმნება — ხოლო თუ ვინმე ინიციატივას გამოიჩენს და ვითარების რაციონალურ ანალიზს ეცდება, ეს ან შეუმჩნეველი და უნაყოფო დარჩება, ან — თუ იგი მეტ აქტივობას გამოიჩენს და მოინდომებს, დაარწმუნოს კიდეც საზოგადოება გონივრული ქცევის აუცილებლობაში — გაბატონებულ განწყობილებას შეეჯახება და მკვეთრად უარყოფით რეაქციას გამოიწვევს. ამის მაგალითებიც გვქონია.

თ. მირიანაშვილი სწორად ახასიათებს აზროვნების წესს, რომელიც ჟამდე გაბატონებული იყო ჩვენს სოციალურად აქტიურ ფენაში. ესაა რადიკალიზმი, ან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რომანტიკული რევოლუციონიზმი. მისთვის დამახასიათებელია სოციალური ინფანტილურობა, ანუ ოცნების მძლავრობა რეალობის პრინციპზე; რეალიზმი, რეფლექსია მისი პირველი მტერია. ამ აზრით თ. ფიფია სრულიად სწორი იყო, როდესაც ქართული მოძრაობის „ახალგაზრდულ“ ბუნებას უსვამდა ხაზს: მთავარია არა მონაწილეთა ასაკი, არამედ რეალობისადმი დამოკიდებულების „ჭაბუკური“ თუ „ბიჭური“ წესი. თავის წერილში თ. ფიფია საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ დამოუკიდებლობა საქართველოს არც ერთ ფენას ობიექტურად ხელს არ აძლევს. ბუნებრივად ისმება კითხვა: თუ ასეა, იქნებ საერთოდ არ გვინდა დამოუკიდებლობა? მაგრამ „გემო“ აქ სწორედ რეალობასთან (ამ შემთხვევაში — საზოგადოების ობიექტურ მოთხოვნილებებთან) დაპირისპირებაშია: რაც მეტია ეს დაპირისპირება, მით უფრო გმირულ-რომანტიკულია შენი პოზიცია. ფსიქოლოგიაში ამას ჰქვია ასიმილაციის მძლავრობა აკომოდაციაზე: სამყაროს კი არ უნდა მოერგო, ის უნდა მოირგო შენს გემოზე. რეალურ მოქმედებაში ეს შეუძლებელია, სამაგიეროდ, კარგად ხორციელდება თამაშში, ანუ „ვითომ-ის“ სამყაროში. ამიტომ „რადიკალურ“ პოლიტიკურ ქმედებაში ძალიან დიდია თამაშის ელემენტი, მაგალითად, სერიოზული პოლიტიკოსი ვერასოდეს გაიგებს, როგორ შეიძლება პატარა საქართველომ ეკონომიკური ბლოკადა გამოუცხადოს ამხელა საბჭოთა კავშირს, მაგრამ თუ იმავეს თამაშის პრინციპიდან მივუდგებით, ყველაფერი თავის ადგილზე დადგება.

საერთოდ ეს ბლოკადა ძალიან მაგონებს ერთ წვერებიან თბილისურ ანეკდოტს. სახელგანთქმული სეროჟა ზის და თავში ლურსმნებს ირტყამს. გაოცებულ შეკითხვაზე: რას შვრებიო — პასუხობს: „ერთი ვრედნი პარიკმახერი მყავს, მაშინკა უნდა გავუტეხოვო“. ცენტრისადმი ჩვენი მომაკვდინებელი აქციები სწორედ სეროჟას საქციელის მსგავსია. პოლიტიკოსთა უპასუხისმგებლო თამაშების გამო უდანაშაულო ადამიანთა სისხლი და ცრემლი რომ იღვრება (პოლიტიკოსები, როგორც ცნობილია, ლურსმნებს საკუთარ ინდივიდუალურ თავებში იშვიათად ირტყამენ) — ამის ზნეობრივ მხარეზე აღარაფერს ვიტყვი: სამწუხაროდ, ჩვენში პოლიტიკისადმი ზნეობრივი მიდგომა მოდური არ არის.

ყოველივე ამის დასანახავად რთული პოლიტოლოგიური კონცეფციების მოფიქრება საჭირო არ არის. საჭიროა თამაშის ლოგიკის მიტოვება და რეალობის ლოგიკაზე გადასვლა. სხვა სიტყვებით — სინამდვილისათვის თვალის გასწორება, რაც უფრო მორალური აქტია, ვიდრე ინტელექტუალური.

რატომ აღმოვჩნდით ნებაყოფლობითი სიბრმავის მდგომარეობაში? მერაბ მამარდაშვილი ასეთ რასმე ამბობდა თავის ისტორიოსოფიურ ლექციებში, რომლებიც სიკვდილამდე არც ისე დიდი ხნით ადრე წაიკითხა: „ჩვენ ვნებებზე ვამბობთ, რომ ისინი ბრმაა; სინამდვილეში ეს სიბრმავე სიცხადისგან მოდის. ვნება ანუ ენერგია ვნებისა შეუძლებელი იქნებოდა, ვნება რომ არ ხედავდეს აბსოლუტურად სამართლიანს, ცხად, ჭეშმარიტ წერტილს, რომელშიც დამნაშავე, რა თქმა უნდა, ყოველთვის სხვაა. ადამიანს არასოდეს ჩაუდენია ისეთი ბოროტება, — ბოროტებას კი, როგორც ყველაფერს, ენერგია, ენერგიის მობილიზაცია სჭირდება, — რომელიც განსაზღვრული არ ყოფილიყო ამ აუტანელი სიცხადით, სიმართლის ცხადი ხედვით. ასეთ შემთხვევაში უნდა გვესმოდეს, რომ ბოროტი კაცი შუქითაა დაბრმავებული“.

ამ სიტყვებში (თუმცა ისინი ბოლშევიკ-რევოლუციონერთა ქცევის ანალიზთან დაკავშირებით ითქვა) ჩვენი „უკომპასობისა“ და „ურუქობის“ (საბოლოო ჯამში კი, აგრეთვე, „უსაგზლობის“) წყაროცაა გამოვლენილი: „დამნაშავე ყოველთვის სხვაა“. აბსოლუტური სიცხადე, რომელმაც „ერი გამოაფხიზლა“, იმთავითვე „მტრის ხატზე“ იყო დამყარებული; „მტრის ხატს“ ერქვა — და ჰქვია — „რუსეთი“, „ცენტრი“, „კრემლი“. ერთადერთი, რაც ვიცით, ისაა, რომ „იქ“ მტერია და გვებრძვის. ჩვენი ცხოვრების ნებისმიერი მოვლენა გასაგები მხოლოდ იმდენად ხდება, რამდენადაც ამ აბსოლუტური სიცხადის წყაროსთან ვაკავშირებთ. ეთნიკურ ურთიერთობებში ბზარი ჩნდება? აჰა, „ცენტრის“ ხრიკებია. ვიღაცა პირადად მე არ მეთანხმება? ესე იგი, კრემლის აგენტი ყოფილა. აბა, თუ კაცი კრემლის აგენტი არ არის, როგორ შეიძლება არ დამიჯეროს მე, ასეთ კარგს, რომელსაც ასე ძალიან მინდა საქართველოს დამოუკიდებლობა? ეს უნივერსალური აგენტომანია არ არის ვიღაცის პირადი უხასიათობის შედეგი: უბრალოდ, გაგების ჰორიზონტი დაბნელებულია „მტრის ხატის“ თვალისმომჭრელი სინათლით, ამიტომ გამოთქმა „ეს კაცი ცდება“ გაუგებარია, არ აღიქმება, ცნობიერების მიღმა რჩება. სამაგიეროდ, „ეს კაცი კრემლის აგენტია“, „სამშობლოს მოღალატეა“ — სრულიად ნათელია, რადგან „მტრის ხატის“ შუქი ეცემა.

მახსოვს, 9 აპრილის შემდეგ, საზოგადოებაში ერთგვარი ეიფორია სუფევდა და ბევრი გონიერი ადამიანისგანაც მოისმენდი: ახლა, როცა ნამდვილი მტერი ასე ძალიან კარგად დავინახეთ, ქართველები შევკავშირდებით, ერთმანეთს გავუფრთხილდებით და აღარ ვიჩხუბებთო. მერე გულწრფელად აღშფოთდებოდით: როგორ, 9 აპრილის შემდეგ კიდევ ერთმანეთს ვერჩითო? მაგრამ როცა რაიმე ერთობის (ამ შემთხვევაში — ერის) მთლიანობა მტრის ხატზეა აგებული, ამ ერთობის წევრები ადრე თუ გვიან ერთმანეთსაც დაერევიან: მტრის ხატზე აგებული (სხვაგვარად — „ბარიკადული“) ცნობიერება ერთგანზომილებიანია და არ გააჩნია ენა განსხვავების გამოსახატავად, ამიტომ გარდუვალი განსხვავება ადამიანებს შორის არ შეიძლება მტრობაში არ გადაიზარდოს. გაგების ამ დონეზე გამორიცხულია ასეთი რამის თქმა: „ეს კაცი ჩემგან განსხვავებულია, მაგრამ მე მას პატივს ვცემ“. ყველა და ყველაფერი უნდა ჩაჯდეს სქემაში: ვინც ჩემთან არ არის, ჩემი მტერია (ხოლო ყველაზე დიდი მტერი, სხვათა შორის, ისაა, ვინც ცდილობს ამ ერთგანზომილებიანი ველიდან გამოგიყვანოს და სამყაროს სირთულე დაგანახოს). თუ რა გამოდის, როცა აზროვნების ასეთი წესი სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე ბატონდება, ეს კარგად ვიცით ჩვენი არცთუ შორეული ისტორიიდან.

მე ეჭვი არ მეპარება, რომ არსებობს კრემლი, რომელიც ებრძვის რესპუბლიკების სწრაფვას დამოუკიდებლობისაკენ, და რომ ამ ბრძოლაში იგი იყენებს და ხელოვნურად აღვივებს ეთნიკურ კონფლიქტებს. ისიც სავსებით ლოგიკურად მიმაჩნია, რომ სუკი საქართველოს ყველა გავლენიან ორგანიზაციაში თავისი მსტოვრების და პროვოკატორების შეგზავნას ცდილობდეს. მაგრამ „ბარიკადული ცნობიერების“ უბედურება ისაა, რომ ის შეუძლებელს ხდის თვითანალიზს, თვითრეფლექსიას, სინამდვილის მრავალგანზომილებიან და, მაშასადამე, სწორ ხედვას.

ამგვარი ხედვის დეფიციტი სოციალიზმთან და მარქსიზმთან ჩვენს დამოკიდებულებაშიც მჟღავნდება. თ. მირიანაშვილი მართალია, როცა ამბობს, რომ მარქსიზმი საკმარისად ღრმად ვერ გავაკრიტიკეთ და ვერ დავძლიეთ. მაგრამ ამის ბრალია არა მარტო ის, რომ შესაფერისი თეორიული არგუმენტები ვერ ვიპოვეთ (ისინი კარგა ხანია ცნობილია), არამედ ის, რომ ვერ გავიცნობიერეთ, რა სისხლით-ხორცამდე საბჭოთა-სოციალისტური ადამიანები გავმხდარვართ თვითონ ჩვენ. ძალიან არ გვიყვარს იმის გახსენება, რომ ის ხალხი ვართ, ვინც სულ რამდენიმე წლის წინ თითქმის ყოველ სუფრაზე ფეხზე ადგომით სვამდა სტალინის სადღეგრძელოს. ვითომ ასე ადვილად დავძლიეთ ტოტალიტარიზმთან ეს სისხლისმიერი ნათესაობა? პირადად სტალინს ისე, თითქოს, აღარ ვადღეგრძელებთ, მაგრამ მხოლოდ ერთი მიზეზის გამო: გავიცნობიერეთ, რომ იგი ანტიქართველი ყოფილა. ძალიან კარგი, მაგრამ „ძლიერი პიროვნებისადმი“ ლტოლვას და აზროვნების ტოტალიტარულ-სოციალისტური წესის სხვა ატრიბუტებს რაღა ვუყოთ? შემთხვევითი არაა, რომ ჩვენი არჩეული ახალი ხელისუფლება, რომელიც სიტყვით უკიდურესად ანტიკომუნისტურია, საქმით, ჯერჯერობით, გორბაჩოვ-გუმბარიძის მიერ შერყეული სოციალისტური სტრუქტურების კვლავ გამაგრებას ცდილობს მხოლოდ, ოღონდ ახალ — ეროვნულ საფუძველზე. ეროვნულ სოციალიზმს კი სხვანაირად რა ჰქვია, ეს, ალბათ, ვიცით.

სოციალიზმის ნამდვილი — და არა მხოლოდ სიტყვიერი — უარყოფა მისი ძირეული ღირებულებების უარყოფა იქნება. სოციალიზმის (სულ ერთია, პროლეტარულის თუ ეროვნულის) წამყვანი ღირებულებაა კოლექტივიზმი და, შესაბამისად, პიროვნების უგულებელყოფა. დემოკრატიული საზოგადოების წამყვანი ღირებულებაა პიროვნული ღირსება — რომლის ძირი, სხვათა შორის, სწორედ იმ ქრისტიანულ რელიგიაშია, რომლითაც დღეს ხშირად უსინდისო პოლიტიკურ სპეკულაციას ეწევიან და რომელიც ასე ცუდად ესმით. რატომ მოხდა, რომ ინტელიგენციამ ასე იოლად დაუთმო ასპარეზი პოპულისტ თუ არაპოპულისტ რადიკალებს? განა არ ესმოდა, რა საფრთხე იმალებოდა ამის უკან? ესმოდა. ინტელიგენციის პასუ-

რობის მიზეზი იყო არა ინტელექ-
ტუალური სისუსტე (სხვა ამბავი
რომ მართლა გვაკლია თანამედრო-
ვე დონეზე მოაზროვნე იურისტე-
ბი, ეკონომისტები, სოციოლოგებ
და ა. შ.), არამედ პიროვნული ვ
ჟკაცობის, პიროვნული ღირსები
დეფიციტი. ხაზს ვუსვამ: პიროვ-
ნული ვაჟკაცობა და მისი დაფასე-
ბა გვაკლია, თორემ ხალხით გაჭე-
დილ მოედანზე შეიძლება განმაც-
ვიფრებელი თავგანწირვა და სიმ
დგრე გამოვიჩინოთ. ყალბად გა-
გებული „ერთიანობის“ ლოზუნგ
მა კოლექტივიზმის განმადიდე-
ლი ფილოსოფიაც შექმნა: როგო
შეიძლება „ხალხს“, „უმრავლესო-
ბას“ დავუპირისპირდე, მაშინ ხო
„ერის მოღალატედ“ გამომაცხად
ბენ! მოედნის ვერდიქტი უფრო
მნიშვნელოვნად ჩაითვალა, ვიდრ
საკუთარი სინდისისა და გონებ
ხმა. როცა ვინმე მაინც გაბედავდ
და თავის პიროვნულ აზრს გამოხ
ტავდა, ამას „ზომიერებიც“ სარკა-
სტული ირონიით ხვდებოდნე
როგორ „არაპოლიტიკურად“ იქ-
ცევაო. ამ „პოლიტიკური სიბრძ
ნის“ ნამდვილი ფასი გამოჩნდა შ
რშან მაისში, ჩვენი ეროვნულ
მოძრაობისთვის საკვანძო მომენ
ტში. როდესაც „შეურიგებელნი“
ორ ნაწილად გაიხლიჩნენ, „ზო-
მიერი“ ოპოზიცია, იმის მაგივრად
რომ თავის თავზე აეღო ინიცია-
ტივა, თვითონაც გაიყო და რადი-
კალთა დამსხვრეულ ნაწილებ
მიეკედლა. ამით „ზომიერებმა“
თვითონ უთხრეს ხალხს: ნამდვი-
ლი, ანგარიშგასაწევი ოპოზიცი
ისინი არიან, ჩვენ კი — ისე, რა
მხარდამჭერებად თუ გამოვდგებ
თო.
მიუხედავად იმისა, რომ მაინც
დამაინც ოპტიმისტური სურათ
ვერ დავხატე, მაინც ვერ გავი-
ზიარებ ხელჩაქნეულობის განწყო
ბილებას, რაც დემოკრატიულა
განწყობილი საზოგადოების ერთ
ნაწილს დაუფლებია. „რისი ღირსი
ცა ვართ, ის მთავრობა გვყავს
მაინც არაფერი გამოვაო“. თუკ
შეიძლება რაიმე ოპტიმიზმი გვქო-
ნდეს, სწორედ ამის გამო: ბოლო
და ბოლოს, გვყავს ზუსტად ისეთ
ხელისუფლება, რისი ღირსიც
ვართ. ეს ხომ დამოუკიდებლობი
ერთ-ერთი უმთავრესი ატრიბუტი
და, როგორც ასეთი, ნამდვი
ეროვნული გამოღვიძების
მიც. უწინდელნი ჩვენი ხელ
ფალნი ეროვნებით უმეტესად ქა
თველნი კი იყვნენ და, თავიან
პიროვნული თვისებების კვალო
ბაზე ზოგიერთ მათგანს ვინძლ
საქართველოს ინტერესებზეც ე
რუნა, მაგრამ საბოლოოდ ისინ
მაინც იმპერიის სამსახურში იდ
ნენ, მის ინტერესებს წარმოადგ
ნდნენ და მას აბარებდნენ ანგ
რიშს. ამიტომ მათი ნამოქმედარი
გამო პასუხისმგებლობას ქართველ
ხალხი თავის თავზე ვერ აიღებდ
ოქტომბრის არჩევნების უდიდე
მნიშვნელობა მხოლოდ ის კი ა
არის, რომ კომუნისტები დამარც
დნენ, არამედ უპირველეს ყო
ლისა ის, რომ ახალი უზენაესი ს
ბჭოს სახით ერმა შეიძინა სარკ
რომელშიც შეუძლია ჩაიხედოს
თქვას: აი, ეს ვყოფილვართ. სან
ასეთ სარკეს ვიშოვიდით, საკუთ
რი თავის შესახებ რაღაც ილუზი
ბი შეგვეძლო გვქონოდა; ახლა
ილუზიები აღარ გვექნება. სწო
რედ ამით იწყება „გამოღვიძება“
ეს გამოღვიძება არც ისეთი სასი
მოვნო და რომანტიკული
და, როგორსაც ველოდით. მაგრა
აბა, როგორ გვინდოდა? უმტკ
ნეულოდ დემოკრატიამდე არც ერ
თი ერი არ მისულა. ჩვენი გზა
ალბათ, მტკივნეული იქნება
ტკივილს მხოლოდ უცხო მტერი ა
მოგვაყენებს. (თუმცა, არც ამ მხ
უნდა ვიყოთ დალხინებული). რო
ცა ვამბობდი — თვალი უნდა გ
ვუსწოროთ სინამდვილეს —
ნიშნავდა უპირველეს ყოვლის
რომ თვალი უნდა გავუსწორო
ჩვენს საკუთარ თავს, ჩვენს საკ
თარ გამოსახულებას სარკეში.
ამას შევძლებთ, მივხვდებით, რა
დენი საქმე გვქონია გასაკეთებ
ლი, და რომ თამაშისათვის ა
გვცალია. ხოლო სანამ თამაშ
სამყაროში ვრჩებით — კონცე
ციები რად გვინდა?

**საქართველო?** — **დისკუსია**

ირაკლი ბუხნიკაშვილი

# ძირეული გარდაქმნების ულტრა-მოწინააღმდეგე

**დღეს** საქართველოში მეტად რთული და სწრაფად ცვალებადი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარებაა, რომლის სათანადო სისრულით და დროულად ასახვა ყოველთვის ვერ ხერხდება ჩვენს პრესაში. ამჯერადაც წინამდებარე წერილში განხილული იქნება მხოლოდ ცალკეული პოლიტიკური საკითხები, რომელთა ირგვლივ ამ ბოლო ხანს გამართულია გაცხოველებული დისკუსია ჩვენი პრესის ფურცლებზე. უფრო ზუსტად კი, მე შევეხები ნაწილს საკითხებისას, რომლებიც გააშუქა **თეიმურაზ მირიანაშვილმა** თავის ტევად და ამავე დროს მეტად საინტერესო და საკამათო სტატიაში, დაბეჭდილს გაზეთ „საქართველოს" მეცხრე ნომერში სათაურით **„ხომ მიჰყავთ საქართველო ულტრარადიკალებს — ყოფილ არაფორმალებს?"**.. როგორც თვად ავტორი აღნიშნავს, აღნიშნული სტატიის მიზანს წარმოადგენს „პრინციპული და ყოველმხრივი კრიტიკა ყოფილ არაფორმალთა, დღეს ეროვნული კონგრესისა და „მრგვალი მაგიდის" ლიდერთა პოლიტიკისა". პრინციპულობის რა მოგახსენოთ და თ. მირიანაშვილის კრიტიკა მართლაც „ძალზე" ყოველმხრივი გამოდგა — იგი საბოლოოდ მიდის იმ დასკვნამდე, რომ „ორივე ბანაკის (კონგრესის და „მრგვალი მაგიდის". — ი. ბ.) მსოფლმხედველობა, იდეოლოგია, სტრატეგია, ტაქტიკა შეიცავს სერიოზულ, ზოგ შემთხვევაში კი ძალზე მძიმე ხარვეზებს". ახლა, რაც შეეხება პრინციპულობას. ამ შემთხვევაში როგორც პოლემიკოსი, თ. მირიანაშვილი პრინციპულობას მხოლოდ იმაში ამჟღავნებს, რომ აკრიტიკებს და გმობს მემარცხენე ულტრარადიკალებს (ასე უწოდებს იგი კონგრესის და „მრგვალი მაგიდის" მესვეურთ) აბსოლუტურად ყველაფერში, უკლებლივ. მაგრამ ნუთუ მართლაც მემარცხენე ულტრარადიკალიზმში საერთოდ არაფერია პოზიტიური? სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, ხომ შეიძლება ზოგჯერ რადიკალიზმი თავისთავად ალმოჩნდეს მისაღები?. აკი სიტყვა რადიკალი წარმოშობილია ლათინური სიტყვისაგან „ძირეული" და აღნიშნავს ძირეული გარდაქმნისათვის მომხრეს. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ საზოგადოდ ყოველი მთავრობა და მმართველი წრეები გაურბიან ხოლმე ულტრარადიკალიზმს, მაშინ ასეთ ფონზე საქართველოს დღევანდელი უზენაესი საბჭო და მთავრობა მეტად მომგებიანად გამოიყურებიან ხალხის თვალში, ყოველ შემთხვევაში, გამანადგურებელ კრიტიკას, ვფიქრობ, არ იმსახურებენ, მით უფრო ცენტრის დიქტატის და ხელშემლის პირობებში, ამას გარდა, ეჭვს იწვევს თავისთავად ასეთი კატეგორიული და ცალსახა შეფასებების გამოტანა კონგრესის საქმიანობისადმი. აკი ვიცით, რომ სადღეისოდ კონგრესში არ არის ერთსულოვნება სწორედ იდეოლოგიურ და სტრატეგიულ საკითხებში და ამდენად კონგრესის იდეოლოგიაზე და სტრატეგიაზე ლაპარაკი მხოლოდ პირობითად და არაცალსახად თუ შეიძლება. მეტიც, ჯერჯერობით კონგრესი ვერც რეალური პოლიტიკის გამტარებელ ორგანოდ ვერ მოგვევლინება და ამიტომ, მის ტაქტიკაზე ან. თუ გნებავთ, სტრატეგიაზე მხოლოდ აბსტრაქტული სპეკულაციების დონეზე შეიძლება ლაპარაკი. მიუხედავად ამისა, თ. მირიანაშვილი იდენტურ შეფასებებს აძლევს კონგრესს და „მრგვალ მაგიდას", რომელიც პირველისაგან განსხვავებით წარმოადგენს რეალური პოლიტიკის გამტარებელ ორგანოს თავისი მსოფლმხედველობით, იდეოლოგიით, სტრატეგიით და ტაქტიკით. სახეზეა აშკარა შეუსაბამობა და ამდენად, ვფიქრობ, სრული საფუძველი გვაქვს დავეჭვდეთ იმ შეფასებებში, რომლებიც გამოუტანა თ. მირიანაშვილმა ზემოთ აღნიშნული ორივე ბანაკის პოლიტიკურ საქმიანობას.

კონგრესის და „მრგვალი მაგიდის" პოლიტიკური საქმიანობის ზოგადი დახასიათების და შეფასების შემდეგ თ. მირიანაშვილი იწყებს მათი კერძო შეხედულებების კრიტიკას. სახელდობრ, მას მიაჩნია, რომ დღეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა არ განიცდის ჭეშმარიტ აღმავლობას". თ. მირიანაშვილის ეს უკანასკნელი მოსაზრება ერთი შეხედვით, გარეგნულად სწორიცაა, მაგრამ საჭიროებს სათანადო განმარტებას და აგრეთვე თავის აუცილებელ კონტექსტს. აქ, რათა საერთო პოლემიკური ტონი არ გამწვავდეს, მე მოვერიდები როგორც კონკრეტული თარიღების დასახელებას, აგრეთვე პოლიტიკურ მოღვაწეთა გვარების დასახელებასაც. მაგრამ ერთი რამ, ალბათ, სადაო არ უნდა იყოს; კერძოდ ის, რომ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა მოდის 70-იანი წლების ბოლოზე და 80-იან წლებზე. ხოლო, რაც შეეხება ეროვნული მოძრაობის პიკს, მე ვთვლი, რომ იგი მიღწეულია, რამდენადაც დღეს საქართველოში ხალხის მიერ უკვე არჩეულია დემოკრატიული გზით უზენაესი საბჭო, რომელიც დგას თავის სიმაღლეზე. სულ სხვაგვარად წარმოუდგენია საქმე თ. მირიანაშვილს. იგი წერს: „...საქმე ძალიან ნაკლებად მიდის მიტინგების, ქუჩაში მსვლელობების, შიმშილობების, ლოზუნგების ანუ საჯარო აქციებისა და ლაპარაკის იქით". უნდა შევახსენოთ თ. მირიანაშვილს, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლება შინაგანი საკითხების მოგვარებისას მიტინგების და შიმშილობების იმედით ჯერჯერობით არასოდეს ყოფილა. ოღონდ, ის კი ნამდვილად ყოფილა. რომ „ცენტრთან" დაპირისპირების დროს იგი ზოგჯერ იძულებული გამხდარა მიემართა ამა თუ იმ საჯარო აქციისათვის. რაც შეეხება იმას, რომ თითქოს „საქმე ძალიან ნაკლებად მიდის... ლაპარაკის იქით", აღვნიშნავ, რომ დღეს ჩვენი უზენაესი საბჭო და მთავრობა ლაპარაკობს იმაზე და სახელმწიფო გადაწყვეტილებების დონეზე აგვარებს სწორედ იმ საქმეებს, რაზედაც გუშინ ჩვენი ხალხი ქუჩაში მიტინგებზე ლაპარაკობდა და ოცნებობდა. თ. მირიანაშვილი კი თვლის, რომ ჩვენი ეროვნული მოძრაობა არ განიცდის აღმავლობას და ამაში ადანაშაულებს ჩვენს ახალ ხელისუფლებას. მაგრამ როცა დანაშაული არ არსებობს, მაშინ ბრალდებებიც გამოგონილი და უსაფუძვლოა. ამაში გვარწმუნებს თ. მირიანაშვილის შემდეგი ციტატები: „...ჯერაც არ გააჩნია (ჩვენს ეროვნულ მოძრაობას. — ი. ბ.) ღრმად დამუშავებული კონცეპტუალური და დოქტრინალური (?!) საფუძვლები", „ჩვენ არ გაგვაჩნია სერიოზულად გააზრებული კონცეფციები — არც „გეოპოლიტიკური, არც თავდაცვითი, არც საქართველოს ეროვნულ უმცირესობებთან...", „ჩვენი ახლანდელი ხელისუფლების შეცდომები სწორედ კონცეპტუალური ბაზისის არქონით არის განპირობებული...". ზემოთ მოყვანილი ციტატები მოწმობენ, რომ მისი ავტორი როგორც პოლიტიკოსი — დილეტანტია. საქმე შემდეგშია. კიდევაც რომ დავუშვათ, რომ ჩვენს ახალ ხელისუფლებას, ვთქვათ და, არ აკლია არცერთი იმ კომპონენტთაგანი, რაც ჩამოთვალა თ. მირიანაშვილმა, თვით ბოლო ციტატაში ნახსენები კონცეპტუალური ბაზისის ჩათვლით, მაშინაც კი რეალური პოლიტიკის გატარებისას შეიძლება იგივე გადაულახავი სიძნელეები დარჩეს რაც იყო. ან იქნებ თ. მირიანაშვილს ჰგონია, რომ შეიძლება მივუგზავნოთ, ვთქვათ, ცხინვალში დისლოცირებულ საბჭოთა კავშირის შინაგან ჯარებს ჩვენი სახელმწიფო დელეგაცია და შევუთვალოთ ჯარისკაცებს, რომ საქართველოს მთავრობას უკვე შემუშავებული აქვს ეროვნულ უმცირესობებთან მიმართებით კონცეპტუალური ბაზისი და წადით ამიტომ აქედან?

ამის შემდეგ თ. მირიანაშვილი გადადის „მამათა თაობის" პრობლემის განხილვაზე და გამოთქვამს მთელ რიგ მეტად გაბედულ და ღრმა მოსაზრებებს და შეხედულებებს. მაგრამ, რადგანაც მე თავიდანვე კრიტიკული ტონი ავირჩიე, ამიტომ შევჩერდები მხოლოდ ისეთ შეხედულებებზე და დებულებებზე, რომლებიც, ჩემის აზრით, საკამათოა. ქვემოთ მომყავს სათანადო დებულებები მცირე კომენტარებითურთ.

არ ვიზიარებ იმ აზრს, რომ თითქოსდა ოციან-ორმოცდაათიანი წლების ზოგი მწერალი იმიტომ წერდა პარტიაზე, ლენინზე, სტალინზე, ბერიაზე... რომ „სხვაგვარად უბრალოდ სიცოცხლეს ვერ შეინარჩუნებდა იმ დროში". კი მაგრამ, ხომ შეიძლებოდა, რომ მწერალს საერთოდ შეეწყვიტა თავისი სამწერლო საქმიანობა და წასულიყო, ვთქვათ, სკოლაში მასწავლებლად. ვფიქრობ, იგი ამ შემთხვევაში უფრო არ გადაეყრებოდა რაიმე შარს.

არ მიმაჩნია სამართლიანად შემდეგი გადაჭარბებული შეფასება: „მამათა თაობების თავგანწირულმა პატრიოტიზმმა აღზარდა ის ახალგაზრდები, რომლებიც „ზასტოის" პიკზე, 1978 წელს, მზად იყვნენ დახოცილიყვნენ დედაენისათვის".

ასევე. ვფიქრობ, არ არის გამართლებული მაღალფარდოვანი გამოთქმები „სული იხსნა" და „დიადი გმირობა" შემდეგ კონტექსტში: „ქართველთა სული კი იხსნა უკანასკნელი ექვსი ათწლეულის ქართველ მწერალთა, ხელოვანთა, მეცნიერთა, საზოგადო მოღვაწეთა დიადმა (თუმცა არააფიშირებულმა) გმირობამ".

აშკარა უსამართლობას სჩადის თ. მირიანაშვილი, როდესაც „მამათა თაობის ნამოღვაწარზე შვიდი ათწლეულის მანძილზე, ლაპარაკობს, რომ „მეტის მიღწევა... წარმოუდგენელი იყო"-ო, ხოლო ულტრარადიკალების სამი წლის ნამოღვაწარი ეცოტავება და ამბობს, რომ „რეალური საქმეები ვერ ხორციელდება და ამაში ბრალი ძირითადად მიუძღვით არა „მამებს", არამედ ყოფილ არაფორმალებს, ულტრარადიკალებს".

სტატიის შემდეგ ნაწილში გვხვდება ბევრი საინტერესო და სასარგებლო მოსაზრებები დღევანდელი ჩვენი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ... მაგრამ სავსებით მოულოდნელად სტატიის ავტორი აკეთებს ყოვლად გაუმართლებელ და შეურაცხმყოფელ დასკვნას: „საქართველოს ახლანდელი ხელისუფლება გვარწმუნებს, რომ მას მტკიცე ნაბიჯებით მიჰყავს ერი თავისუფლებისაკენ. პირადად მე კი მგონია, რომ ჩვენ კისრისტეხით მივილტვით საითღაც უკომპასოდ, ურუქოდ, უსაგზლოდ..." დასანანია, როცა ასეთ სოლიდურ და საინტერესო წერილში შეგვხვდება ასეთი დაუფიქრებელი და უხეში გამოხდომა (ეს მიმართაც არ უნდა იყოს იგი გამოთქმული).

ამის შემდეგ უკვე, ალბათ, არ უნდა გაგვიკვირდეს თ. მირიანაშვილის მხრიდან შემდეგი დაუსაბუთებელი გამონათქვამები: **„უზენაეს საბჭოში არ შეიმჩნევა არსებითად არავითარი დისკუსია, არავითარი აზრთა სხვადასხვაობა,** პოლიტიკური **აზროვნების სიმწირე ბუნებრივად ჰქმნის მრავალ არასასურველ გარემოებას, რომელთაგანაც ზოგიერთს აქ შევეხები".** და შემდეგ ჩამოთვლილია ეს გარემოებები თავისი კომენტარებით, შვიდ პუნქტად გამოყოფილი.

პირველ პუნქტში ლაპარაკია მარქსისტულ მოძღვრებაზე და სამართლიანადაა აღნიშნული, რომ მხოლოდ ლოზუნგურ, წმინდა ემოციურ დონეზე უარყოფილი, იგი შეიძლება მომავალში აღორძინდეს. აღნიშნულია აგრეთვე, რომ ამ მხრივ შედარებით მეტი საშიშროება ემუქრება სწორედ საქართველოს, სადაც თ. მირიანაშვილის აზრით, არსებობდა მარქსიზმის ქართული ნაირსახეობა — ქართული მარქსიზმი. უკანასკნელი მოსაზრება ძალზე ორიგინალურია, რადგანაც დღემდე მარქსიზმი ითვლებოდა ინტერნაციონალურ (კოსმოპოლიტურ) მოძღვრებად. თუმცა მე, სამწუხაროდ, ამ მოსაზრების არც უარყოფის და არც მეცნიერულად დასაბუთების უნარი არ შემწევს. როგორც იტყვიან, ეს მოსაზრება ავტორის სინდისზე იყოს.

თ. მირიანაშვილი მძიმე შეცდომად მიიჩნევს ხელისუფლების მიერ საქართველოს არსებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის შენარჩუნებას. მაგრამ რატომ ჰგონია აღნიშნული სტატიის ავტორს, რომ ეს საკითხი საქართველოს ხელისუფლებამ საბოლოოდ გადაწყვიტა და დღეიდან ამ მიმართებით არაფერი შეიცვლება?

აღნიშნულ სტატიაში გამოთქმულია აზრი, რომ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების გამსხვილების პირობებში „აღარ იარსებებდა არც ეთნიკურ და არც „კუთხობრივ" საფუძველზე იზოლირებული „სახელმწიფოები". ჯერ ერთი, ნუ მივიჩნევთ ყოველ გამსხვილებას პანაცეად ყოველი „ეთნიკური" და „კუთხობრივი" სატკივრების თავიდან ასაცილებლად. და მეორეც, არ არის გამორიცხული, რომ რაიონების გაერთიანების შედეგად წარმოიშვას დიდი იზოლირებული „სახელმწიფოები". და კიდევ, რაც, ალბათ, ყველაზე მთავარია — რაიონების გაერთიანება გამოიწვევს დავას ადგილობრივ მკვიდრთა შორის იმის თაობაზე, თუ რომელმა ქალაქმა შეინარჩუნოს ადმინისტრაციული ცენტრის სტატუსი. თუმცა ამაზე თ. მირიანაშვილი უპასუხებს ასე: „არ მგონია, ეს უფრო დიდი პრობლემა გამხდარიყო, ვიდრე პრეფექტების დანიშვნა".

მეხუთე თავში განხილულია რელიგიის პრობლემები ჩვენს რესპუბლიკაში. გამოთქმულია საინტერესო და სასარგებლო აზრები ჩვენი სამთავრობო პოლიტიკის (როგორც საშინაო, ისე საგარეო) შესახებ ამ რელიგიურ პრობლემებთან დაკავშირებით. მაგრამ. სამწუხაროდ, ამავე პუნქტში ზოგჯერ გვხვდება დაუფიქრებელი გამონათქვამები და მოსაზრებები. მაგალითად, გაუგებარია, ვის მიმართავს და მოძღვრავს ავტორი, როდესაც წერს: „ნუ დაგვავიწყდება, რომ ათეიზმიც რწმენაა და ათეისტთა დევნა ისევე დაუშვებელია, როგორც ღვთისმოშიშთა დევნა". ანდა კიდევ ასეთი მოსაზრება იმავე პუნქტიდან: „იმ რამდენიმე მილიონ ქართველზე აღარ ვფიქრობთ, რომლებიც თურქეთსა და ირანში ცხოვრობენ?! მათაც ხომ ვერ დავუარსებთ ეკლესიებსა და სემინარიებს!" ჯერ ერთი, რატომ ჰგონია თ. მირიანაშვილს, რომ ამ საკითხზე არავინ არ ფიქრობს? ფიქრობენ, მაგრამ რა უნდა გაკეთდეს კონკრეტულად და პრაქტიკულად?.. მეორეც, ეს რამდენიმე მილიონი ქართველი დაახლოებით მაინც რამდენია? ორი მილიონი? ათი მილიონი? საერთოდ კი შევნიშნავდი, რომ ეს თემა ძალიან სერიოზულია, საფრთხილოც კი და ამ საკითხის ასეთნაირად დილეტანტურ დონეზე განხილვას მხოლოდ ზიანი და არასასურველი მითქმა-მოთქმა შეიძლება მოჰყვეს.

სტატიის მეექვსე პუნქტი იწყება დებულებით, რომელიც ორგვარად უმართებულოა. აი, ეს დებულებაც: **„ის, რომ უკანასკნელ ხანს აღიკვეთა დემოკრატიზაციის პროცესი და იმძლავრა რეაქციამ, ჩემის ღრმა რწმენით, მნიშვნელოვანწილად განაპირობა ულტრამემარცხენეების გაუწონასწორებელმა და ავანტიურულმა პოლიტიკამ".** ჯერ ერთი, თუ იმძლავრა რეაქციამ, ალბათ, ეს მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ... რეაქციულმა ძალებმა იმძლავრეს და სხვას არავის არ უნდა მიუძღოდეს ამაში ბრალი, მათ რიცხვში არც ულტრარადიკალებს. ზემოთ მოყვანილი დებულების მეორე უმართებულობა მდგომარეობს იმაში, რომ ეს დებულება, თ. მირიანაშვილის აზრით, ერთნაირად უნდა ეხებოდეს „საერთოდ მთელს საბჭოთა კავშირში მოღვაწე ულტრარადიკალებს". მაგრამ მოგეხსენებათ, რომ საბჭოთა კავშირში მრავალი ჯურის ულტრარადიკალებია, ზოგიც ურთიერთსაპირისპირო პოლიტიკური პლატფორმების მქონე. ამიტომ ძნელი დასაჯერებელია, რომ ზემოთ მოყვანილი დებულება ერთნაირად მართებული იყოს ყველა სახის ულტრარადიკალებისათვის მთელს საბჭოთა კავშირში.

სტატიის დასკვნით ნაწილში თ. მირიანაშვილი აჯამებს თავის მოსაზრებებს და აკეთებს სათანადო დასკვნებს. ერთ-ერთი დასკვნა ასეთია: „საქართველოში დღეისათვის შექმნილ მძიმე ვითარებასა და უფრო მძიმე სავარაუდო პერსპექტივაში ულტრებზე მეტად ზომიერ ძალებს, ინტელიგენციას მიუძღვის ბრალი". ბრალი კი, თურმე, მდგომარეობს იმაში, რომ ინტელიგენციამ უბრძოლველად დაუთმო ულტრარადიკალებს სრული პოლიტიკური მონოპოლია. აქ ისმის კითხვა: ჰქონდა ინტელიგენციას პოლიტიკური მონოპოლია, რომ შემდეგში იგი ვისმესთვის გადაეცა? ისმის მეორე კითხვა: საერთოდ შეიძლება ჩვენს დღევანდელ უკიდურესად არეულ მდგომარეობაში რომელიმე პოლიტიკური პარტია ან ბლოკი ფლობდეს სრულ პოლიტიკურ მონოპოლიას? პირადად მე ორივე კითხვაზე უარყოფით პასუხს გავცემდი, ხოლო რაც შეეხება თ. მირიანაშვილს, ჩანს, რომ მას ეს კითხვები აზრადაც არ მოსვლია.

რაც შეეხება ოპოზიციის შესახებ თ. მირიანაშვილის მსჯელობას, აქ შეიძლება ასეთი აზრის გამოტანა: თურმე, როგორც ამას ამტკიცებს თ. მირიანაშვილი, ძლიერი ოპოზიცია საწინდარია ძლიერი სახელმწიფოსი. ხოლო ჩვენი დღევანდელი კრიზისული მდგომარეობა გამოწვეული ყოფილა, მისი აზრით, ძლიერი ოპოზიციის არყოლით. მეტიც, თუ არ იქნა ოპოზიცია. მაშინ, მისი ვარაუდით, „საქართველო უსათუოდ გახდება შინა და გარე მტერთა საჯიჯგნი" მაგრამ, თუკი ოპოზიციის გარეშე საერთოდ შეუძლებელი ყოფილა სახელმწიფოსათვის კეთილდღეობის მიღწევა, მაშინ რითი ხსნის თ. მირიანაშვილი დავით აღმაშენებლის დროს საქართველოში მიღწეულ კეთილდღეობას?



**აკადემიკოს შალვა ხიდაშელს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა. გაზეთ „საქართველოს" რედაქცია ულოცავს ღვაწლმოსილ მეცნიერს ამ თარიღს და უსურვებს დიდხანს სიცოცხლესა და შემდგომ წარმატებებს. ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი შეხვდა ბატონ შალვა ხიდაშელს და რამდენიმე შეკითხვით მიმართა მას. გთავაზობთ ამ საუბრის ჩანაწერს.**

# შალვა ხიდაშელი — „ერი ჩემთვის უმაღლესი ღირებულებაა"

**ბატონო შალვა, თქვენ მოესწარით 1918-1921 წლების დამოუკიდებელ საქართველოს. ხომ არ გაიხსენებდით ამ ხანმოკლე, მაგრამ მეტად მნიშვნელოვან პერიოდს და როგორ შეაფასებდით მას?**

ათი წლის ვიყავი, როდესაც საქართველოს დამოუკიდებელი არსებობა დასრულდა. მაგრამ ძალიან კარგად მახსოვს ის დიდი, საყოველთაო სიხარული, რომელიც 1918 წლის 26 მაისმა გამოიწვია. ეს იყო ნამდვილი ეროვნული აღფრთოვანება საზოგადოების ყოველ ნაწილში. დამამახსოვრდა 26 მაისის დღესასწაულები, პარადები და დემონსტრაციები, რომლებსაც მთავრობის წევრები კი არ „ღებულობდნენ", — ხალხის სათავეში იდგნენ და მიუძღოდნენ წინ. ამ დღესასწაულებში მონაწილეობდა ეროვნული სპორტული საზოგადოება „შევარდენი", რომელსაც დიდი დამსახურება მიუძღვის მაშინდელი ახალგაზრდობის ფიზიკური და ეროვნული სულისკვეთებით აღზრდაში.

არ დამავიწყდება ტრაგიკული დღეებიც, როდესაც ტაბახმელადან ზარბაზნების სროლის ხმა და ბოლო თბილისამდე აღწევდა. მთავრობის სასახლესთან გვარდიის მეთაური ვალიკო ჯუღელი საბელდახელოდ კრებდა მოხალისეებს და აქედანვე ფუნიკულიორის ვაგონებით პირდაპირ ფრონტზე აგზავნიდა.

მახსენდება გმირულად დაღუპული იუნკრების, მათ შორის, ქარო [illegible] ჩამოსვენება და დაკრძალვა ყოფილი სამხედრო ტაძრის ეზოში, სადაც ამჟამად მთავრობის სახლია აღმართული.

ახლა, როდესაც იმ დროს ვიხსენებ, მიუხედავად მისი ხანმოკლე არსებობისა, მაშტაბურ მოვლენად მეჩვენება. აკაკი წერეთელმა 10 წელი კატორღაში გაატარა. კარლო ჩხეიძემ ჯერ კიდევ სახელმწიფო სათათბიროში გაითქვა სახელი თავისი ცნობილი სიტყვებით. ისინი თავიდანვე არ იდგნენ ეროვნულ პოზიციებზე, მაგრამ მათი გამოცდილება და გონიერება საკმარისი აღმოჩნდა, რომ ალლო აელოთ მოვლენებისა და ხალხის განწყობილებისათვის და ეროვნული პოლიტიკა ეწარმოებინათ.

**ბატონო შალვა! თქვენ როგორც მეცნიერმა წვლილი შეიტანეთ ქართული კულტურის, კერძოდ ქართული ფილოსოფიის ისტორიის, ქართული რენესანსისა და რუსთველოლოგიის საკვანძო საკითხების კვლევა-ძიებაში. თქვენი გამოკვლევები რუსთველის მსოფლმხედველობაზე ახალი სიტყვაა რუსთველოლოგიაში. თქვენი წვლილი რენესანსის პრობლემების დამუშავებაში აღინიშნა, როგორც ჩვენში, ისე, საზღვარგარეთ. რა მდგომარეობაა დღეს ამ საკითხების კვლევაში და რა პერსპექტივები იხატება?**

პერსპექტივა დამაკმაყოფილებელია, მაგრამ შედეგები უფრო მეტი უნდა ყოფილიყო. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ერთგვარი ნიჰილიზმი ქართული ფილოსოფიური აზროვნებისადმი ყოველთვის შეიმჩნეოდა ქართველ ფილოსოფოსთა ერთ ნაწილში და, ვფიქრობ, რომ უფრო ნაკლებად, მაგრამ აქამდე გრძელდება.

ქართული ფილოსოფიის ისტორია, როგორც მეცნიერება, გვიან ჩამოყალიბდა ქართველოლოგიის სხვა დარგებთან შედარებით. ფილოსოფიის ინსტიტუტის დაარსება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ქართული ფილოსოფიის ისტორიის შესწავლის ხელისშემწყობ მოვლენად უნდა ქცეულიყო. ასეც მოხდა, მაგრამ არა სასურველი ზომით.

სხვა რესპუბლიკების ფილოსოფიის ინსტიტუტებისა, თუ სექტორებში, რომლებიც ამავე დროს დაარსდნენ, ერთი განყოფილება აუცილებლად საკუთარი, ეროვნული ფილოსოფიური აზრის შესწავლისათვის იყო შექმნილი (ეს ისეთ შემთხვევებშიც კი, როდესაც მათ მხოლოდ ორი განყოფილება ჰქონდათ). ჩვენს ინსტიტუტში მხოლოდ 20 წლის შემდეგ, 1966 წელს დაარსდა ქართული ფილოსოფიის განყოფილება.

**და მაინც, განსაკუთრებით გვინდა შევჩერდეთ თქვენს წვლილზე ქართული ფილოსოფიის ისტორიის კვლევაში, რაც საბოლოოდ შეჯამდა ფუნდამენტურ გამოკვლევაში „ქართული ფილოსოფიის ისტორია". ამასთან თქვენ დაარსებიდან ხელმძღვანელობთ ქართული ფილოსოფიის ისტორიის განყოფილებას ფილოსოფიის ინსტიტუტში. თქვენვე ბრძანდებით მთავარი რედაქტორი ქართული ფილოსოფიის ისტორიის ოთხტომეულისა, რომლის I ტომიც უკვე მზადაა გამოსაცემად, ხოლო მე-4 ტომი მალე დამთავრდება. ყველაფერი ეს მხოლოდ მშრალი ციფრებია და მკითხველს უთუოდ დააინტერესებს ყოველივე ამის შესახებ უფრო ვრცლად „პირველი პირის" მიერ ნაამბობი.**

რაც შეეხება „ქართული ფილოსოფიის ისტორიის" ოთხტომეულს, მისი მომზადების და გამოცემის ინიციატივა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმისაგან მომდინარეობს, მათი დახმარების გარეშე ეს საქმე ვერ განხორციელდებოდა. I ტომი მოიცავს პერიოდს უძველესი დროიდან შოთა რუსთაველამდე და, როგორც თქვენ აღნიშნეთ, გამოსაცემად მზადაა. უახლოეს დროში დასრულდება IV ტომი, რომელიც მოიცავს პერიოდს თბილისის უნივერსიტეტის დაარსებიდან.

მაგრამ საჭიროა მეტი ყურადღება ამ საქმისადმი.

ამ ოთხტომეულის მომზადებისათვის სხვა სირთულეებიც იყო მოსალოდნელი. ფილოსოფია და ფილოსოფიის ისტორია მეცნიერების ისეთ დარგებს წარმოადგენენ, რომლებიც საბჭოთა პერიოდში ყველაზე მეტად განიცდიდნენ ე. წ. „იდეოლოგიური პრესის" გავლენას.

მაგრამ შემიძლია დაბეჯითებით ვთქვა, რომ ეს ტომები იმგვარად იწერება და ზოგი დაიწერა კიდეც, რომ არ განიცდიან ამ პრესის გავლენას.

**შალვა ნუცუბიძე, სერგი დანელია, კოტე ბაქრაძე, სავლე წერეთელი — ესაა არასრული სია იმ ქართველი ფილოსოფოსებისა, რომელთა გვერდითაც გიხდებოდათ მუშაობა. იქნებ მკითხველს ამის შესახებაც უამბოთ. ეჭვი არაა, ბევრი რამ საინტერესო იქნება შემორჩენილი თქვენს მეხსიერებაში. სხვა ქართველ მოღვაწეებსაც ხომ არ გაიხსენებდით?**

იმათ შორის, ვისთანაც ურთიერთობა მქონია, თქვენ ასახელებთ მხოლოდ ფილოსოფოსებს. მაგრამ ჩემი სამეცნიერო საქმიანობა დაიწყო უფრო ადრე, ვიდრე ფილოსოფიის ინსტიტუტი დაარსდებოდა. პირველი მეცნიერი, ვისთანაც მუშაობა დავიწყე, ლენინგრადში ასპირანტურის დამთავრებისა და თბილისში გადმოსახლების შემდეგ, იყო ივანე ჯავახიშვილი. მისი სახელი და დამსახურება ქართველი ერისა და მეცნიერების წინაშე იმდენად ცნობილია, რომ დიდხანს ლაპარაკი არ დამჭირდება. ვიტყვი მხოლოდ, რომ ივ. ჯავახიშვილი იყო არა მხოლოდ დიდი მეცნიერი, იყო დიდი პიროვნება. მასთან მუშაობა და ყოველდღიური კონტაქტები, მართლა ბედნიერი შემთხვევა იყო ჩემთვის, დამწყები მეცნიერი მუშაკისათვის. მისგან ვსწავლობდით არა მხოლოდ ქართველი ერის ისტორიას და მეცნიერებას, არამედ ერის სიყვარულს და მასზე ზრუნვას.

აქვე მეორედ შევხვდი გრიგოლ წერეთელს, რომელსაც სამი წლის განმავლობაში ვუსმენდი ლექციებს ანტიკური ლიტერატურის ისტორიიდან. სამწუხაროდ, ეს ბრწყინვალე პიროვნება და მსოფლიო მასშტაბის მეცნიერი როგორღაც მივიწყებული დარჩა. ამ დროს ის, ივ. ჯავახიშვილთან ერთად, საქართველოს მუზეუმში მუშაობდა მეცნიერ-კონსულტანტის თანამდებობაზე. ორივენი „განთავისუფლებულები" იყვნენ უნივერსიტეტიდან.

ჩემი ურთიერთობა გაგრძელდა მათთან ბ-ნ ივანეს გარდაცვალებამდე (1940 წელს) და გრ. წერეთლის დაპატიმრებამდე (1937 წელს).

შალვა ნუცუბიძე და სერგი დანელია ჩემი მასწავლებლები იყვნენ უნივერსიტეტში.

შ. ნუცუბიძესთან მაკავშირებდა კვლევა-ძიების საერთო ინტერესები. ამ მეცნიერმა დაუდო საფუძველი ქართული ფილოსოფიის ისტორიას, როგორც მეცნიერებას და უდიდესი სამსახურიც გაუწია მას. მისი შრომების მნიშვნელობა მთელ რიგ საკითხებში გასცილდა ქართული ფილოსოფიის ისტორიის ფარგლებს და მსოფლიო მეცნიერების ყურადღება მიიპყრო. როგორც მეცნიერი და პიროვნება გამოირჩეოდა ინტერესთა სიფართოვით და საოცარი ნიჭიერებით. საყოველთაოდ იყო ცნობილი მისი იუმორი, თვისება, რომელიც მასაც უადვილებდა ცხოვრებას და მის ახლობლებსაც.

სერგი დანელიასთან სტუდენტობის დროიდანვე ვიყავი დაახლოებული. ეს იყო განათლებული მეცნიერი, აღჭურვილი მეცნიერისათვის საჭირო ყველა თვისებით. მას ხშირად კონფლიქტურ პიროვნებად თვლიდნენ, მაგრამ ამის მიზეზი, ჩემის აზრით ის იყო, რომ მას ბოლომდე შერჩა შეურიგებლობის და აღშფოთების უნარი იმ პირობების მიმართ, რომლებშიც ქართველი მეცნიერები იყვნენ ჩაყენებულნი. ამ თვისებების შენარჩუნებაც ბევრს ნიშნავდა იმ წლებში.

ამავე წლებში, რუსთაველის საიუბილეო გამოფენაზე გავიცანი და შემდეგ დავუახლოვდი გერონტი ქიქოძეს, ფაქიზი გემოვნების და ფართოდ განათლებულ მწერალს და პრინციპულ პიროვნებას. ჩემს ცნობიერებაში მან ღრმა კვალი დატოვა.

არ შემიძლია არ გავიხსენო [illegible] საცდელ-საჩვენებელი სკოლის მასწავლებლები და განსაკუთრებით მისი დირექტორი მიხეილ ზანდუკელი, ნათელი პიროვნება, რომელსაც ჰქონდა ბავშვებზე კეთილი ზემოქმედების საოცარი უნარი. ის პედაგოგად იყო დაბადებული, მაგრამ ამან არ შეუშალა ხელი „ზემდგომ ორგანოებს" გაეთავისუფლებინათ და შემდეგ გადაესახლებინათ კიდეც.

ყველა ამ პირებზე მე მაქვს გამოქვეყნებული მოგონებანი, ანდა მოხსენებულნი „მყვანან „უსათაურო მოგონებებში", რომელიც იბეჭდება.

უნდა გავიხსენო უნივერსიტეტი, მისი ფილოსოფიის ფაკულტეტი და განსაკუთრებით ფილოსოფიის ინსტიტუტი, სადაც ვმუშაობ 45 წელია, მისი დაარსების დღიდან. მე არა ვარ დიდი წარმოდგენის ჩემი მუშაობის და განვლილი გზის შესახებ, მაგრამ რაც გავაკეთე უმთავრესად ამ ინსტიტუტში მუშაობის პირობებში გავაკეთე. აქ გავიარე მეცნიერული მუშაობის ყველა საფეხური, აქ გავიზარდე, როგორც მკვლევარი.

რა თქმა უნდა, მქონია აქ არასასიამოვნო განცდებიც, მაგრამ ეს ყველაფერი ადამიანური ამბებია; ამ დაწესებულების კოლექტივი მიმაჩნია ახლობელ ადამიანებად.

ჩვეულებრივ ფიქრობენ, რომ უმცროსი (მოწაფე, მსმენელი) სწავლობს უფროსისაგან, ნამდვილად კი, ასე არაა — მასწავლებელიც სწავლობს მოწაფისაგან, რომ აღარაფერი ითქვას იმაზე, რომ მოწაფეები იზრდებიან და ხშირად მასწავლებლებს უსწრებენ. ასე რომ არ იყოს, არც პროგრესი იქნებოდა.

ბევრი ჩემი ყოფილი მსმენელის და ჩემზე უმცროსის მიმართ განვიცდიდი განსაკუთრებულ გრძნობას. მათთან შეხვედრა ჩემთვის ძალიან სასიხარულოა ხოლმე.

**ბატონო შალვა! ჟურნალ „განთიადში" ქვეყნდება თქვენი „უსათაურო მოგონებები". გავეცანი უკვე პირველ ორ ნომერში გამოქვეყნებულ მასალას და შემიძლია ვთქვა, რომ თქვენი „უსათაურო მოგონებები" ღირსეულ ადგილს დაიჭერს ქართულ მემუარულ ლიტერატურაში. თქვენს ამ მემუარებში ფილოსოფიურადაა გააზრებული განვლილი გზა, რაც უფრო საინტერესოს ხდის მას წაკითხვად. როდის გადაწყვიტეთ გეცადათ თქვენს მიერ განვლილი გზის გააზრება?**

„უსათაურო მოგონებების" წერა ჩემი პირადი ტრაგედიის დღეებთანაა დაკავშირებული. მეუღლის, ელენე ვირსალაძის, გარდაცვალების შემდეგ, ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდი. დამეწყო მძიმე ავადმყოფობა, რომელმაც ოთხ თვეს გასტანა, აღარც ექიმებს და აღარც ახლობლებს ჩემი გადარჩენის იმედი აღარა ჰქონდათ. ეს იყო 70-იანი წლების ბოლო. როგორც ხედავთ, გადავრჩი. ცოტა მოვიცადე თუ არა, ამ „მოგონებების" წერა დავიწყე. გაგახსენებთ ერთ ადგილს: „წერის სურვილითა ვარ ატანილი და წერა ჩემთვის გარდუვალი გახდა. ლ. ტოლსტოი ამბობდა — „თუ შეგიძლია არა წერო, ნუ სწერ!". მე აღარ შემიძლია რომ არა ვწერო". ეს იმიტომ, რომ ვწერდი „ნამდვილ ცხოვრებისეულ სიმართლეს, განსხვავებულს პრესისა და ე. წ. „მხატვრული სიმართლისაგან". ვფიქრობდი, რომ ჩემს სიკვდილთან ერთად, სიმართლე დაიღუპებოდა.

არ ვიცი — ვინ როგორ გაიგებს ჩემს ფიქრებს, მაგრამ მეჩვენებოდა, რომ მომავლისათვის ვწერდი და ამით მომავალს ველაპარაკებოდი. ვერც წარმოვიდგენდი, რომ ამ ჩანაწერების გამოქვეყნების დრო და შესაძლებლობა ჩემს სიცოცხლეშივე დადგებოდა!

**საყოველთაოდაა ცნობილი გამოჩენილი რუსი ფილოსოფოსის ალექსეი ლოსევის ერთობ დადებითი დამოკიდებულება ქართული კულტურის, კერძოდ ქართული რენესანსისა და ქართული ნეოპლატონიზმისადმი. ვიცი აგრეთვე თქვენი დიდი სიახლოვის შესახებ ალექსეი ლოსევთან და მის ოჯახთან. მე თვითონ ვარ მოწმე, თუ როგორი დიდი წარმოდგენის არიან ლოსევის წრეში საქართველოზე, ქართველ ხალხსა და ქართულ კულტურაზე, რა დიდი მოწიწებით იხსენიებენ თქვენს სახელს. რით და როდის დაიწყო თქვენი ურთიერთობა ლოსევთან?**

ალ. ლოსევთან ჩემი ურთიერთობა და შემიძლია ვთქვა, მეგობრობა დაიწყო 40-იანი წლების ბოლოს და გაგრძელდა მის გარდაცვალებამდე. ეს იყო შესანიშნავი ინტელიგენტი, მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება, არა მხოლოდ გამოჩენილი ფილოსოფოსი, არამედ ასევე ფილოლოგი, რომელიც იძულებული იყო ხანგრძლივი დროის მანძილზე დადუმებულიყო. პარტიის XVI ყრილობაზე (1930 წ.) თავის საანგარიშო მოხსენებაში ლ. კაგანოვიჩმა ის დაახასიათა, როგორც შავრაზმელი და ბნელეთის მოციქული, გადასახლების დროს ფიზიკურად მუშაობდა ბელომორის არხის გაყვანაზე. ჩემი მოძღვრის პირადი ტრაგედია — 1941 წ. მის სახლს მოსკოვში ბომბი დაეცა, შენობა [illegible] და ლოსევის მთელი ბიბლიოთეკა და ხელნაწერები განადგურდა.

მისი კვლევის საგანი უმთავრესად ანტიკური სამყარო შეადგენდა და შესანიშნავად იცოდა ნეოპლატონიზმი.

1972 წელს თბილისში გამოვეცი მის მიერ თარგმნილი და კომენტირებული პროკლეს „თეოლოგიის პირველსაფუძვლები", მისივე შესავალი წერილით. პროკლეს ამ თხზულებას მნიშვნელობა ქართველი მკვლევარისათვის ფასდაუდებელია. ეს თხზულება იოანე პეტრიწმა თარგმნა (როგორც ჩანს, ყველაზე ადრე ევროპაში) XI-XII ს-ში და მის საფუძველზე ჩამოაყალიბა ქართული ფილოსოფიის მსოფლმხედველობა.

ხსენებული წიგნის გამოცემამ ჩვენში საკმაოდ [illegible] მიიწია. „ძვირფასო შალვა ვასილის ძევ, — მწერდა პირად წერილში — [illegible] ლები არ არსებობს, ამ წიგნის გამოცემა ნამდვილი სასწაულია!" ამ წიგნის გამოცემამ ის [illegible] გამოიყვანა და მისი [illegible] მუშაობა განაახლა.

**თუ ტრაგიკულ კითხვას არ ჩამოვთვლით, თქვენი გეგმების შესახებაც გვითხრათ მკითხველს.**

მე არა ვფიქრობ, რომ მეცნიერებაში ძალიან ბევრი რამ გავაკეთე, მაგრამ, გულახდილად რომ ვთქვა, ჩვენს რესპუბლიკაში უკანასკნელ წლებში მომხდარი ამბების გამო, ჩემი ინტერესები ძალიან შეიცვალა. ჩემი ფიქრის საგანი ჩემი ერი, ჩემი ქვეყანა იქცა, მისი აწმყო და მომავალი.

ეს არაა მოულოდნელი ჩემთვის. მე რომ სხვა, უფრო ადამიანურ საზოგადოებრივ პირობებში მეცხოვრა, ჩემი საქმიანობა, ალბათ, სხვა გზით წარიმართებოდა. პირველად რომ დოსტოევსკის რომანები წავიკითხე და ძმები კარამაზოვების დიალოგს გავეცანი თემაზე — შეიძლება თუ არა საზოგადოებრივი ცვლილებების გამართლება, თუ მათ საზღაურად თუნდაც ერთი ბავშვის ცრემლების ღვრა იქნება აუცილებელი, — ამ, ბოლშევიკური გაგებით „წვრილბურჟუაზიულმა მორალმა", ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. დავრწმუნდი, რომ ადამიანთა ცრემლებზე ფიქრი უფრო ახლო იყო ჩემს გულთან, ვიდრე მეცნიერული აღმოჩენების ძიება.

მაგრამ შეგნება და შეიძლება უფრო ინსტიქტი მკარნახობდა, რომ საბჭოთა პირობებში ხალხზე ფიქრი და იმგვარად ფიქრი, როგორც მე მესმოდა, გამორიცხული იყო. ინსტიქტმა არ მიღალატა, ჩემს გზას რომ გავყოლოდი ახლა ჩემი ძვლებიც არ იქნებოდა.

**დასასრულ, რას უსურვებდით საქართველოსა და ქართველ ხალხს. გარდა ამისა, თქვენ გაქვთ მორალური უფლება, რომ თავისუფლების ძნელ გზაზე მიმავალ ქართველ ხალხს გარკვეული რჩევა მისცეთ. თქვენ ხომ ახე აქტუალურად ხართ ჩაბმული საქართველოს პრობლემებთან დაკავშირებულ პოლიტიკურ მოვლენებში.**

ერი ჩემთვის უმაღლესი ღირებულებაა. დღევანდელი მოძრაობის მიზნების განხორციელება შეუძლებელია ერის ერთიანობისა და ერთსულოვნების გარეშე. არა მგონია, რომ პარტიებისა და მრავალრიცხოვანი ჯგუფების არსებობა ამის ხელშემწყობი ფაქტორი იყოს. მაგრამ შეცდომა იქნება, ერის გაერთიანების ცდა მოპირდაპირეთა ნების დათრგუნვასა და ახალ დიქტატზე იყოს დამყარებული. ქართველი ხალხი, რომელსაც 70 წლის მწარე გამოცდილება აქვს, ვერ შეურიგდება ძალადატანების ახალ ფორმებს.

ერის გაერთიანება, დღევანდელ პირობებში, მხოლოდ დემოკრატიული გზით შეიძლება და აქეთ მოვუწოდებ ხალხს.

საზოგადოების ძირითადი უჯრედი პიროვნებაა, ინდივიდუმი და პირველყოვლისა, თითოეულმა ჩვენთაგანმა (უკლებლივ ყველამ) უნდა მოახერხოს თავისში ებრძოლოს წამავალ და წვრილმან ვნებებს, რომლებიც, ნებსით თუ უნებლიეთ, ხელს უშლიან დიდი მიზნების განხორციელებას.

ამ საკითხზე საკმაოდ ბევრი მაქვს ნათქვამი უკანასკნელი წლების წერილებში. კიდევ ვაპირებ დაწერას. ამჯერად კი, ამით შემოვიფარგლები.

**ბატონ ნოდარ ნათაძისადმი მიძღვნილ პასკვილთან დაკავშირებით შემოვიდა უამრავი წერილი. ადგილის სიმცირის გამო იძულებულნი ვართ ცალკეულ წერილთა გამოქვეყნებაზე უარი ვთქვათ, რამდენიმე მომართვას კი ვაქვეყნებთ მნიშვნელოვნად შემცირებული სახით. რასაც იმედია, სულგრძელად მოგვიტევებენ ამ წერილთა ავტორები.**

# მკითხველთა წერილები

## გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციას
## გაზეთ „საქართველოს" რედაქციას

**ალმოსავლეთ** კახეთის (საინგილო) სოფელ ალიბეგლოს 1800 კაციან მცხოვრებთა სახელით, მთელ საქართველოს, პირადად ბატონ ზვიად გამსახურდიას ვულოცავთ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩევას. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებულნი, ბატონი ზვიად გამსახურდია როგორც უოველთვის, ახევე საპრეზიდენტო მოღვაწეობაში, საინგილოს მფარველი იქნება.

ამავე დროს, სოფლის მშრომელები და ინტელიგენცია აღშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" 25 მაისის ნომერში დაიბეჭდა საინგილოს მცხოვრებთა ვითომც 1006 კაცის მიერ ხელმოწერილი, ცილისმწამებლური წერილი, მიძღვნილი საინგილოს საშეფო კომისიის ყოფილი ხელმძღვანელის ბატონ ნოდარ. ნათაძისადმი.

მოგახსენებთ, რომ ჩვენი სოფლიდან, ბატონი ნოდარის შეფობის პერიოდში, უმაღლესი სასწავლებელი დამთავრებული აქვს ათეულობით ახალგაზრდას და ახლაც მრავალი სწავლობს. ნ. ნათაძისადმი მიყენებული თუნდაც მცირე ბრალდება, სინამდვილეს არ შეეფერება.

ბატონი ნოდარ ნათაძე ჩვენს სოფელში ცნობილია, როგორც ღვაწლმოსილი მეცნიერი და ინგილოებისათვის თავგანწირული პიროვნება.

1991 წლის მაისის დასაწყისიდან სოფელ ალიბეგლოში ბატონ ზვიად გამსახურდიას არჩევისათვის მხარდასაჭერად შედგა ხელმოწერა, რომელსაც ორგანიზაციას უწევდა ციალა ბაჩალიაშვილი და სინანულს გამოვთქვამთ მისი გამოუქვეყნებლობის გამო. ჩვენი სოფლის მცხოვრებლებიდან ბ-ნ ნოდარ ნათაძის მიმართ გამოქვეყნებულ ცილისმწამებლურ წერილზე არავის ხელი არა აქვს მოწერილი. ჩვენ ბატონ ნ. ნათაძისადმი გამოთქმული დაუმსახურებელი ბრალდების გამო უკმაყოფილებას გამოვთქვამთ. მოვითხოვთ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" მიერ გამოქვეყნებული წერილის მთელი საზოგადოებრიობის წინაშე განხილვას და ცილისმწამებელ პირთა გამომზეურებას.

**შ. ასლამაზაშვილი**
**ბ. ბაჩალიაშვილი**
**მ. ნადირაშვილი**
**რ. თოფალაშვილი**
**ვ. ბაჯიშვილი**
**ვ. ი. მალემაშვილი**
**ბ. ა. ბარისაშვილი**
**ლ. მ. ყიყიშვილი**
**ვ. ბარისაშვილი**
**მ. ჯანაშვილი... სულ 130 ხელმოწერა.**

---

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ **ზვიად გამსახურდიას**
## ასლი საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს ბატონ **ვახტანგ რაზმაძეს**
## ასლი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციას
## გაზეთ „საქართველოს" რედაქციას

**ჩვენ,** ქვემორე ხელისმომწერნი, აღშფოთებულნი ვართ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" 25. V. 91 წ. ბატონ ნოდარ ნათაძის მიმართ გამოქვეყნებული ცილისმწამებლური პუბლიკაციის გამო. ბ-ნი ნოდარ ნათაძე საინგილოს ქართულ სკოლებსა და ინგილო ქართველების სწავლა-განათლების საქმეს შეფობს არა 1980 წლიდან, როგორც სტატიაშია ნათქვამი, არამედ 1960 წლიდან. ამ ხნის მანძილზე მან მრავალჯერ მოიარა საინგილო და მრავალ ინგილო ახალგაზრდას დაეხმარა თბილისის სასწავლებლებში განათლების მიღების საქმეში და ზაქათალა — ბელაქნის რაიონის ახალგაზრდობას თავისი ნამდვილი ქართული გვარისა და ეროვნების აღდგენის საქმეში.

ჩვენთან ქართული სკოლები რომ არსებობენ ამ საქმეში ბატონ ნოდარ ნათაძის, გიორგი ჩანგაშვილის, ილია დათუნაშვილის და სხვა მებრძოლი ინგილოების დიდი დამსახურებაა.

ბატონი ნოდარი არის ინგილოებისათვის სათაყვანებელი და სამაგალითო პიროვნება, მის წინააღმდეგ ცილისმწამებლური საჯარო გამოსვლა პრესაში, ჩვენ მიგვაჩნია არა ბატონი ნოდარის, არამედ ინგილო მოსახლეობის ღალატად. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს „1006 ხელმოწერა" სრული სიყალბე და სიცრუეა, ეს ხელმოწერა სადმე ფიზიკურად თუ არსებობს. მაშინ უნდა წარმოადგინონ სასამართლოში და აქედან ათი კაცი მაინც წარსდგეს სასამართლოში, რათა დაიცვან გაზეთში გამოქვეყნებული სიყალბე.

კახის რაიონის ქართული სკოლის დირექტორ არჩილ ოთარაშვილის გარდა მებრძოლ კაცს სხვას მეორეს ძნელად ნახავ, მაგრამ მასაც იმეტებენ და ლანძღავენ. ეგენი თათრის ანტიქართულ საქმეს ვერ ხედავენ, მიზნად დაუსახავთ მებრძოლი ინგილოებისა და ნ. ნათაძის მსგავსი კარგი ქართველების შეურაცხყოფა.

ჩვენ, ზაქათალისა და ბელაქნის რაიონების ინგილო სტუდენტები დედმამიანად დავუდგებით ბატონ ნოდარ ნათაძესა და ილია დათუნაშვილს მოწმედ ყველგან, სადაც კი საჭირო იქნება. კახის რაიონის, ისიც ზოგიერთ გულბოროტ და უქნარა ელემენტებს ბატონი ნოდარი და ილია არ მოსწონთ იმისათვის, რომ მათ არ ათვისებინებენ ჩვენთვის გამოყოფილ ლიმიტებს. ამას მიაჩვია კომკავშირის ცეკამ 1980-85 წლებში, როდესაც კომკავშირის ცეკას წარმომადგენლები გვშეფობდნენ. ახლა ჩვენი ლიმიტების სადარაჯოზე, ჩვენი ხალხის თხოვნით დგას ილია დათუნაშვილი და თუ საჭირო გახდა, ბატონი ნოდარ ნათაძეც ჩაერევა ამ საქმეში.

აი ესაა მათი „დანაშაული". ამგვარად, საინგილოს ქართული მოსახლეობა შერცხვენილები ვართ ქართველი ხალხის წინაშე, ვილაცვილაცეების მიზეზით.

1. **ახაკიშვილი ალექსანდრე**
2. **ახაკიშვილი ხათუნა**
3. **ახაკიშვილი ლეილა**
4. **ალიბეგაშვილი ოქტა**
5. **ალიბეგაშვილი ადილა**
6. **აბულაშვილი ტარიელი**
7. **პაჭიევა ლია (პეტრიაშვილი)**
8. **ყადიმოვა მზევინარი (მამულაშვილი)**
9. **ყადიმოვა გულნარა (მამულაშვილი.**
10. **თოფალოვი ელშანა**
11. **სამედოვა ხათუნა (სამადაშვილი)**

**სულ 38 ხელმოწერა.**

---

## გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციას
## გაზეთ „საქართველოს" რედაქციას

**ბატონ** ნოდარ ნათაძეს მხოლოდ ჩვენ კი არა, სოფ. ითითალას მცხოვრებნი, არამედ მთელი საინგილოს შეგნებული და ჯანსაღი ნაწილი ძალიან კარგად ვიცნობთ, და მისთვის ვლოცულობთ კიდეც. მას ვიცნობთ, როგორც პიროვნებას, რომელმაც გრანდიოზული სიკეთე გაუკეთა და ისევ უკეთებს არა მარტო ჩვენს სოფელს, არამედ მთელს საინგილოს, ოღონდ, მას არ უყვარს გაკეთებულზე ლაპარაკი და არც ის, სხვები რომ ლაპარაკობენ მასზე. მაგრამ მაინც მოკლედ უნდა ვთქვათ, რომ ბატონმა ნოდარმა ამ 30 წლის განმავლობაში სრულიად უანგაროდ დიდი სამსახური გაუწია ჩვენს ხალხს; და თუ დღეს ოდნავ მაინც ჩვენს საკუთარ მამულში თავაწეულები დავდივართ, ამ შემთხვევაში დიდზე დიდია მისი დამსახურება. ჩვენ, ინგილოებს, არაფერი არ გაგვიჭირდებოდა, თუკი ყოველი ქართველი გაგვიკეთებდა იმის 1%, რაც ბატონმა ნოდარ ნათაძემ, გიორგი ჩანგაშვილმა და როდამ ჩაჩანიძემ უანგაროდ გაგვიკეთეს ამ წლების განმავლობაში. თუკი რომელიმე მახინჯი ინგილო გამოერევა და მათზე ცუდს იტყვის, ასეთებს ენა ძირში უნდა მოჭრა, ხოლო თუ ხელს მოაწერს სიყალბეზე, ასეთებს მარჯვენა უნდა მოაჭრა.

ჩვენ, ამ წერილზე ხელის მომწერნი, კატეგორიულად მოვითხოვთ ცილისმწამებელთა პასუხისგებაში მიცემას.

**30. 05. 91**

**სოფ. ითითალას მცხოვრებნი:**

1. **რამაზანოვი შალვა (რამაზაშვილი) პედაგოგი**
2. **აბდურახმანოვა (ბაბალაშვილი) შამფერია პედაგოგი.**
3. **იხაევი რამაზან (ხადურაშვილი) პედაგოგი.**
4. **მუხანოვი იხრაფილა (ნაცვლიშვილი).**
5. **ისკანდაროვი ზაიდა (ისკანდაშვილი) სოფ. ითითალას საშ. სკოლის დირექტორი**
6. **ბალახეგოვი თადილა (ბალიაშვილი)**
7. **ბალაევი აბდუ (ბალიაშვილი)**
8. **მამედოვი (ხადურაშვილი) ხადიჯე პედაგოგი.**

---

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მეცნიერების, კულტურისა და განათლების მუდმივი კომისიის თავმჯდომარეს **თ. ქორიძეს**
## საქართველოს რესპუბლიკის გენერ. პროკურორს **ვ. რაზმაძეს**
## გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციას
## გაზეთ „საქართველოს" რედაქციას

**ჩვენ,** ზაქათალისა და ბელაქნის რაიონების ინგილო მოსახლეობის წარმომადგენლები, რომლებმაც თბილისში მივიღეთ განათლება 60-80-იან წლებში, მოკლედ მოგახსენებთ, თუ როგორ ვიცნობთ ბატონ ნოდარ ნათაძესა და საერთოდ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინგილოთა საშეფო საბჭოს.

1953-1958 წლები საინგილოსათვის მეტად კრიზისული იყო, რადგან ჩვენი ქართული სკოლების ძალდატანებით, ზოგჯერ მილიციის წესით, აზერბაიჯანულ სკოლებად გადაკეთება ხდებოდა. თბილისში დიპლომირებულ ჩვენს თითოოროლა ახალგაზრდას ჩვენს რაიონებში სამუშაოზე არ ღებულობდნენ; სამუშაოზე იღებდნენ იმათ, ვინც მათ სულს მიჰყიდდა. სამწუხაროდ, ასეთებიც გამოჩნდნენ!

ბოლოს, გაბედულ ქართველთა მცირე ჯგუფმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიიდან: გიორგი ზაქარიას ძე ჩანგაშვილმა, ნოდარ რევაზის ძე ნათაძემ, რევაზ ბარამიძემ (შემდეგში ამათ მიემატნენ კოტე ჩოლოყაშვილი, როდამ ჩაჩანიძე, ეთერ ვაშაკიძე, გულაბერ ანანიაშვილი, აკად. გ. ჭოლოშვილი, აკად. ნოდარ ამაღლობელი და კიდევ სხვები), 1957-1960 წლებში აქტიური ბრძოლის შემდეგ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შეფობა იქნა გაფორმებული.

ამიერიდან დღემდე, მთელი 30 წელი ბატონი ნოდარ ნათაძე, საშეფო საბჭოში ერთ-ერთ ყველაზე მთავარ და ავტორიტეტულ პირად იქცა. იგი ხან მარტოდ, ხან მცირე ჯგუფთან ერთად, ალბათ 100-ჯერ მაინც იქნება საინგილოში ჩამოსული.

მაგრამ, ბატონ ნოდარ ნათაძის, გიორგი ჩანგაშვილისა და სხვათა საინგილოში პერიოდულად ჩამოსვლამ მათ სამი სახის მოწინააღმდეგე დაუპირისპირა:

პირველი — საქართველოს ოფიციალურ ხელმძღვანელობას მაინცდამაინც არ მოსწონდა აკადემიის მიერ სკოლების შეფობა და ინგილო ახალგაზრდებისათვის სწავლაში დახმარება, ამიტომ ხშირად ხელსაც უშლიდნენ ამ კეთილი საქმის კეთილად წარმართვაში.

მეორე — აზერბაიჯანის როგორც ცენტრალურ, ისე ზაქათალის, ბელაქნისა და კახის რაიონების ხელმძღვანელებს შეძლებისდაგვარად, მიუხედავად არსებული შეთანხმებისა, ხშირად არ სურდათ, რომ თბილისელი შეფები შესულიყვნენ ჩვენს ქართულ სკოლებში და სოფლებში;

მესამე — ჩვენი რაიონების ხელისუფლების მიერ მოსყიდულ ინგილოთა კორუმპირებულ ნაწილსაც არ უყვარდა ბატონი ნოდარი, რადგან იგი არ ეკარებოდა მათ, როგორც თავისი ხალხის ეროვნული ინტერესების გაყიდვის ხარჯზე გამდიდრებულებს.

მერე დაიწყო შევარდნაძის ეპოქა. ის, რაც ბატონ ნოდარ ნათაძისა და მისი მეგობრების მიერ, როგორც თბილისში, ისე საინგილოში იქნა აშენებული, ერთი ხელის მოსმით დაინგრა: აკრძალა აკადემიის შეფობა, „ინგილოებს აზერბაიჯანმა მიხედოსო" და მოუსპო ინგილო ახალგაზრდობას ყოველგვარი შეღავათები ინსტიტუტებში სწავლის გაგრძელების საქმეში. 1973-1979 წლებში, როდესაც ინგილოები საქართველოში ყველასგან მივიწყებული ვიყავით, ბატონი ნოდარი იყო ერთადერთი კაცი, რომელიც ჩვეულებრივი ენერგიით იღვწოდა და ცდილობდა ზოგიერთი ინგილო მაინც მიეღებინებინა ზოგიერთ სასწავლებლებში. შევარდნაძემ სწავლაში შეღავათები აღუდგინა, მაგრამ შეფობა კი კომკავშირის ცკ-ს გადააბარა. მათი კომისია არჩევდა ინგილო აბიტურიენტებს და პერსონალური ლიმიტით აგზავნიდა უმაღლეს სასწავლებლებში და ინსტიტუტი ვალდებული იყო ჩაერიცხა ეს პირი. ამ აუქციონმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია მთელს ინგილო მოსახლეობაში. ამიტომ 1985 წლიდან შეფობა ისევ მეცნიერებათა აკადემიას გადაეცა, რომლის თავმჯდომარეა აკადემიკოსი, თსუ რექტორი, ბატონი ნოდარ ამაღლობელი, ხოლო ბატონი ნოდარ ნათაძე მისი მოადგილეა. ბოლო 10-15 წლის განმავლობაში ინგილოთა თბილისში მასიური დარჩენა დაიწყო. ამბობენ, სამი ათასზე მეტი კახის რაიონის ქართველი დარჩა საქართველოშიო! ბატონი ნოდარი ამ მიგრაციის კატეგორიული წინააღმდეგია და ასეთ ინგილოებს „დეზერტირებს" უწოდებს.

ამ კატეგორიის ხალხს ჩვენ კარგა ხანია ვიცნობთ: ჩვენი ეროვნული ინტერესების დასაცავად ბაქოში ან მოსკოვში წასვლა, ანდა დეპეშებისა და წერილების გაგზავნა საჭირო რომ ხდებოდა, ამათგანი ყველა იმალებოდა და კარგა ხანს სათოფეზე არ ეკარებოდნენ ილია დათუნაშვილსა და კახის სკოლის დირექტორს არჩილ ოთარაშვილს. ეჭვი არ გვეპარება, რომ მათი ათასი ხელმოწერა მათსავით ყალბია ან ყალბი ლოზუნგების ქვეშ იქნება შეგროვილი.

ბატონი ზვიადიცა და ბატონი ნოდარიც საქართველოს ბედნიერებისათვის არ ზოგავენ თავს. თუ ეს ინგილო ხელისმომწერნი დღეს ბატონ ნოდარს ღალატობენ, რომელმაც 30 წელი შესწირა მათ ყოველგვარი საყვედურების გარეშე, ხვალ ბატონ ზვიადსაც უღალატებენ დაფიქრების გარეშე. ამას გვკარნახობს ლოგიკა.

ამიტომ ჩვენ, ამ წერილზე ხელის მომწერნი, კატეგორიულად მოვითხოვთ ცილისმწამებელთა პასუხისგებაში მიცემას.

29 მაისი, 1991 წელი

სოფ. ალაბადი (ელისენი)

**აზმედოვი ხანუმა (თამაზაშვილი)**
**ბაირამოვი ზუბედა (ბარამაშვილი)**
**აბდურახმანოვი თამაზი (ბაბალაშვილი)**
**ალაყულაშვილი ეუეუნა**
**აბდურახმანოვი ნუგზარი (ბაბალაშვილი)**
**მუსაევი მაჰამადა**
**ზურაბ აბულაშვილი (მასწავლებელი)**
**დარიკო აბულაშვილი (სტუდენტი)**
**ნაილი აბულაშვილი (ექთანი).**
**გულო ველიევა (შაქარაშვილი, მასწავლებელი)**
**ნაზირა აბულაშვილი (მოსამსახურე) და სხვები.**

---

## გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციას
## გაზეთ „საქართველოს" რედაქციას

**ბატონი** ნოდარ ნათაძე საინგილოში ქართველი ხალხის განათლების განმტკიცებისათვის, მისი ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისათვის იბრძოდა. ჯერ კიდევ მაშინ, როცა მ. ჯანაშვილის საზოგადოების წევრები დაბადებულნი არ იყვნენ. საინტერესოა, ვინ მიაწოდა მათ ასეთი ყალბი ინფორმაცია.

ჩვენ სოფელ კახინგილოს ქართული საშუალო სკოლის (რომელიც საინგილოში უძველესი და ქართველი ერის ძირითადი დასაყრდენი სკოლაა) პედაგოგებს ძალიან კარგად გვახსოვს, რომ 1962 წელს ქართული სკოლების საშეფო დახმარებისათვის აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქალაქ ზაქათალაში უშიშროების კომიტეტის წარმომადგენლებმა დააკავეს ბატონი გ. ჩანგაშვილი, ბატონი ნ. ნათაძე და სხვები, მიუხედავად ამისა, ბატონ ნ. ნათაძისა და გ. ჩანგაშვილის ხელმძღვანელობით თანმიმდევრულად ხორციელდებოდა საინგილოსათვის საშეფო დახმარება.

აღნიშნულ წერილში ნაჩვენებია, რომ „ბატონი ნ. ნათაძე ინგილოებს დახმარებას უწევდა და ამით, როგორც ბოლოს აღმოჩნდა, ხელს ითბობდა..." ეს მტკნარი სიცრუეა და ბატონ ნ. ნათაძის მიმართ ცილისწამებაა, ცილისმწამებლებმა კი პასუხი უნდა აგონ კანონის წინაშე.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციას მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის მაისის თვეში მ. ჯანაშვილის საზოგადოების წევრების ინიციატივით საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატ ბატონ ზვიად გამსახურდიასათვის მხარდაჭერის მიზნით მიმდინარეობდა ხელის მოწერა კახის რაიონში. ჩვენი ხელის მოწერით მხარი დავუჭირეთ ქართველი ერის ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო ლიდერს ბატონ ზვიად გამსახურდიას. ეს ბუნებრივია ასედაც უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჩვენ არასოდეს ბატონ ნოდარ ნათაძის შესახებ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნებულ წერილზე ხელი არ მოგვიწერია და არც ვეთანხმებით წერილში მოყვანილ ცილისმწამებლურ ფაქტებს. ამიტომაც ჩვენ რედაქციისაგან მოვითხოვთ მთელ საინგილოს საზოგადოებას უჩვენოს იმ ხელისმომწერთა სია, რომლებმაც ხელი მოაწერეს გამოქვეყნებულ ცილისმწამებლურ წერილს.

**ნათელა ოთარაშვილი**
**ელისო ტარტარაშვილი**
**არჩილ ოთარაშვილი**
**გ. ზურაბაშვილი**
**ლ. ვარტარაშვილი**
**პ. ზუციშვილი**
**ბ. ოთარაშვილი**
**სუყაშვილი ნატალია**
**ოთარაშვილი ვასილ**

# ნოდარ ნათაძე —

# „საქართველოს რესპუბლიკის" მკითხველებს

**ხსენებული** გაზეთის 25 მაისის ნომერში დაიბეჭდა ორი წერილი უზენაესი საბჭოს, ცენტრალური საარჩევნო კომისიის და რედაქციის სახელზე, რომლებიც შეიცავენ ინსინუაციას ჩემი პიროვნების შესახებ. თავს უფლებას ვაძლევ, მკითხველს ჩემი განმარტება მოვახსენო.

აღმოსავლეთ კახეთის (ანუ საინგილოს) ქართულ სკოლებზე შეფობის მონაწილე და ერთ-ერთი მესვეური მართლაც ვარ (1961 წლიდან). ამ სფეროში საქმის ვითარებაზე კარგზე და ავზე, სავსებით პასუხისმგებელი ვარ. უფრო მეტიც. თუ არ ჩავთვლით მართლაც სარეკორდო გულგრილობის ფაქტორს ადმინისტრაციაში დასაქმებული მაღალი ინტელიგენციის მხრიდან და არც თუ იშვიათი ანტიქართული ორიენტაციის ფაქტორს ხელისუფლების მხრიდან, შეფობის საქმე, ძირითადად, ისე მიდიოდა, როგორც მე და ჩემს კოლეგებს საჭიროდ მიგვაჩნდა. სახელდობრ, შემდეგნაირად: საინგილოს ქართული სოფლებისათვის „ლიმიტის" გამოყოფა საქართველოს უმაღლესსა და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში დაიწყო 1962 წლიდან (და არა 1980 წლიდან, როგორც წერილის ავტორები წერენ). ამას მოითხოვდა და მოითხოვს ქართული სკოლის, როგორც ასეთის, ინტერესი, მაგრამ საინგილოში, ჩვენს ინტერესებთან მიმართების თვალსაზრისით, ორი სხვადასხვა ზონაა: არის ქრისტიანი ქართველების დასახლება (კახის რაიონი) და მაჰმადიანი ქართველების დასახლება (ზაქათალის და ბელაქნის რაიონები), პირველში ადგილობრივი ადმინისტრაციის პოლიტიკა მიმართულია (იქითკენ, რომ ქართველობა ეკონომიკურად და ფიზიკურად შეავიწროვოს (მიწები მოუჭრას, სამსახურში არ გაახაროს, უბნები დაუნგრიოს და ა. შ.), რათა აიძულოს თანდათან საქართველოს რესპუბლიკაში წამოვიდეს. მეორეში, ადმინისტრაციის მოქმედება ორიენტირებულია ქართველი მოსახლეობის ასიმილაციაზე (რაც, პირველ ყოვლისა, გამოიხატა და გამოიხატება არაქართული გვარების მიცემაში და სკოლის ქართული სექტორის შევიწროებაში). იქაც და აქაც, 1920 წლიდან დღემდე ყოვლისშემძლე აპარატის მთელი ძალა მიმართული იყო, პირველ ყოვლისა, ამ დემოგრაფიული მიზნის მიღწევისაკენ.

სხვადასხვა ვითარებას სხვადასხვა ამოცანები მოაქვს. მუსლიმანურ ზონაში საჭიროა, პირველ ყოვლისა, სკოლის გამაგრება, და ლიმიტების მიცემაშიც, შესაბამისად, რაოდენობას დიდი მნიშვნელობა აქვს. ქრისტიანულ ზონაში, პირიქით, ლიმიტების დიდი რიცხვი ჩვენს საწინააღმდეგოდ მოქმედებს, რადგანაც ძალიან მცირე გამონაკლისის გარდა ყველა უმაღლესდამთავრებული ამ ზონიდან თბილისში, ან საქართველოს რომელიმე რაიონში რჩება საცხოვრებლად. ამის შედეგია ის, რომ აღმოსავლეთ კახეთში ქრისტიანი ინგილოების რაოდენობა უკანასკნელ წლებში კი არ გაიზარდა, არამედ შემცირდა.

ჩემს ერთ-ერთი დამსახურებად საინგილოს შეფობის საქმეში ვთვლი იმას, რომ ინგილოებისათვის მისაცემი ლიმიტები გაიყო ორ ნაწილად — კახის რაიონს ცალკე და ზაქათალა-ბელაქნის რაიონებს ცალკე. ამით აღიკვეთა ის პრაქტიკა, რომ ქრისტიანი ინგილოები (შედარებით უკეთესი მომზადების გამო) ლიმიტების საერთო რაოდენობის ცხრა მეათედს ან მეტს ითვისებდნენ, მაჰმადიანები კი თითქმის უადგილოდ რჩებოდნენ (რაც უშუალო უარყოფით ზემოქმედებას ახდენდა იმ წელს სკოლის ქართულსა და აზერბაიჯანულ სექტორზე მისულ ინგილო ბავშვების პროპორციაზე). ბუნებრივია, ლიმიტების ამ გაყოფამ გული დასწყვიტა ზოგ მშობელს და აბიტურიენტს ქრისტიანული ზონიდან. მაგრამ შემიძლია მაინც კატეგორიულად ვთქვა: მცირედი გამონაკლისის გარდა აქამდე არც ერთ ადგილობრივ მაცხოვრებელს ამის გამო პროტესტი არ გამოუთქვამს. პროტესტი მე მსმენია მხოლოდ თბილისში მაცხოვრებელი, მაშასადამე, საინგილოდან **წამოსული** ქრისტიანი ინგილოებისაგან, რომელთა გარკვეულ ნაწილსაც მე „დეზერტირებს" ვეძახი (რა თქმა უნდა, პირში). ნუ იფიქრებთ, რომ ეს პირები მაინცდამაინც გაჭირვებული და თავშესაფრის მაძიებელი ადამიანები არიან. არა, ბევრი მათგანი საკმაოდ სახარბიელო ხელობისა ბრძანდება — იურისტი, ექიმი და სხვა — მაგრამ მათი დადებული აგური საინგილოს საქმისათვის ზრუნვაში, მაპატიონ, ჯერ ძალიან ცოტა თუ მინახავს.

წელან „ერთ-ერთი დამსახურება" ვახსენე და თავმდაბლობის ნაკლებობაში ნუ ჩამომართმევთ, თუ ამ სიტყვებს ზედ კომენტარსაც დავურთავ. დიახ, იმ ერთის გარდა აღმოსავლეთ კახეთის წინაშე მე არაერთი სხვა დამსახურებაც მაქვს. სხვათა შორის, ჩემი დამსახურებაა ისიც, რომ საინგილოს საკითხი, როგორც პრობლემა, თანამედროვე პოლიტიკური ენით ჩამოყალიბდა და ერთი-ორჯერ საქართველოზე და სსრკ-ზე უფრო ფართო აუდიტორიასაც წარედგინა — მარტივად რომ ვთქვათ, უტყვი და უენო პრობლემა გამართული ენით მეტყველ პრობლემად იქცა. თუ ვისმე ჰგონია, რომ ამას უმაღლესი კვალიფიკაციის დაძაბული შრომა არ უნდოდა, ძალიან ცდება. ხოლო ვისაც ჰგონია, რომ ამას მარტოოდენ შრომა ჰყოფნის, ის კიდევ უფრო შემცდარია.

ახლა გულგრილობისა და ანტიქართული ორიენტაციის ამბავსაც მოგახსენებთ. პირველის ნაყოფი ისაა, რომ ჩვენ, შეფებმა ვერ მივაღწიეთ ვერც იმას, რომ ინგილოებზე ზრუნვა მათთვის ნიშნების წერით კი არ შემოიფარგლოს, არამედ მათ სწავლებაზეც გავრცელდეს, და ვერც იმას, რომ მისაღები გამოცდების დროს რეალურად შემოწმებული იქნას მათი ცოდნა (რომელიც, როგორც წესი, შეფასებას იმსახურებს „0"-დან „2"-მდე), არამედ მათი ბუნებრივი მონაცემები, და შერჩეულ იქნას ის, ვინც **მართლა** სხვებზე უკეთესია. ამ უკანასკნელ ოპერაციას სჭირდება სულ 300-400 კაც-დღე წელიწადში. პირველს, ცხადია, მრავალჯერ მეტი. მაგრამ ვაი, რომ იმ კაც-დღეთა გამლების პოვნა უმაღლეს სასწავლებელთა პროფესორ-მასწავლებლებში თითქმის ვერც ერთხელ ვერ მოვახერხეთ! ანტიქართული ორიენტაციისას კი იმას გეტყვით, რომ ორჯერ — ერთხელ მას შემდეგ, რაც ცკ მდივნად დ. სტურუა დაინიშნა, მეორედ კი 1972-ის მომდევნო წლებში — ინგილოებისათვის ლიმიტების გამოყოფა **რამდენიმე წლით შეწყდა**. ამან საინგილოს ქართულ სკოლას დღემდე აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენა.

ყოფილა აუარებელი შემთხვევაბიც, როცა „წონიან" პიროვნებებს საპროტესტო წერილებისა და პეტიციებზე ხელის მოწერისაგან თავი შეუკავებიათ. მათ გვარებს არ ვახსენებ. დაე, საკუთარმა სინდისმა გაიკითხოს!

ახლა რაც შეეხება ჩემ მიერ „ხელის მოთბობას" საქართველოს ამ განსაცდელში ჩავარდნილი კუთხის ხარჯზე („როგორც ბოლოს აღმოჩნდა, ხელს ითბობდაო"). ჩემი მეთოდი ლიმიტების ათვისებაში შემდეგი გახლავთ: სასწავლებლის ხელმძღვანელებს ვეუბნებით: შეამოწმეთ აბიტურიენტის პასპორტი და ატესტატი (საინგილოს მაცხოვრებელი თუა, და ქართული სკოლა თუ აქვს დამთავრებული). თუ სასწავლებელი ამას ასრულებს, ეს სრული გარანტიაა იმისა, რომ არაინგილო არ გაეპარება. გარდა ამისა, დიდი პრაქტიკის გამო მე ვიცი საინგილოში გავრცელებული ქართული გვარები. არაინგილოური გვარი ინგილოურში არ შემეშლება.

იძულებული ვარ პასუხი გავცე სხვა ცილისწამებასაც, რომელიც წერილის ავტორებს შემდეგნაირად აქვს გამოთქმული:

„გაკვირვებას იწვევს პროფ. ნათაძის ფრაზა: „თუკი უმაღლესში მოწყობისათვის ადგილობრივი ქართველი იხდის „ვოლგის" ფულს, რატომ ინგილომ კამეჩის ფული არ უნდა გადაიხადოსო". ეს ფრაზა ნათაძემ გაიმეორა უმაღლესი სასწავლებლების და სპეცსკოლების სამინისტროში ამხ. ვალოდია ჩაკვეტაძის თანდასწრებით, რამაც, ცხადია, დიდი გაკვირვება გამოიწვია. ეს ერთხელ კიდევ ფარდას ხდის ნათაძესა და მის ხელქვეითებს".

მოყვანილი ფრაზის სიტყვები მართლაც ჩემია, მაგრამ ამ სიტყვათა წყობა და, მაშასადამე, აზრიც წერილის ავტორებისა გახლავთ. 70-იანი წლებში შეფებმა შევამჩნიეთ, რომ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში იმას კი არ რიცხავენ ინგილოებისათვის გამოყოფილ ადგილზე, ვინც შედარებით უკეთესი იყო, არამედ, როგორც წესი, სხვას. ამან, ბუნებრივია, ეჭვი აღძრა, რომელიც ასე გამოიხატა: „ნუთუ თბილისელს „ვოლგის" ფულს ართმევენ, ლიმიტიან ინგილოს, ეტყობა, კამეჩის ფულს მაინც ართმევენ-მეთქი". შეუძლებელია, წერილის ავტორებმა ეს არ იცოდნენ, მაგრამ ვინაიდან შეკვეთა მიიღეს, 25 მაისს, ანუ არჩევნების წინ, ჩემი დისკრედიტაცია მოისურვეს, სხვა ტყუილთან ერთად ამასაც არ მოერიდნენ.

სიტყვამ მოიტანა და, მეორე ინსინუაციასაც მოვიყვან ციტატად: „ნათაძე, სარგებლობდა რა საქართველოს მთავრობის ინგილოებისადმი დახმარებით (ინგილო ახალგაზრდები სამიაზნე ჩაბარების შემთხვევაში ირიცხებოდნენ ინსტიტუტში) საკუთარი ინიციატივით ახლო კონტაქტში იყო რექტორებთან და სარგებლობდა რა თავისი მამისა და თავისი სახელით, ჩაჭრილ ინგილოებს დახმარებას უწევდა და ამით, **როგორც ბოლოს აღმოჩნდა, ხელს ითბობდა**". ამგვარ განცხადებას იურიდიულ ენაზე ცილისწამება ჰქვია და იგი ყველა ქვეყანაში თავისუფლების აღკვეთით ისჯება. მე არ მაქვს განზრახვა, რომელიმე ცილისმწამებელთაგანის ციხეში ჩასმისათვის ვიზრუნო, მაგრამ შემიძლია სრული გარანტია მოგცეთ იმისა, რომ დაუსჯელს არც მათ დავტოვებ, არც გაზეთის ცილისმწამებელ რედაქციას (რა თქმა უნდა, თუ ცნობილი ბოლშევიკური მეთოდით სამართალდაცვის ორგანოებმა დამნაშავეებს ხელი არ დააფარეს. მაგრამ თუ დააფარეს, მაშინ იმის გარანტიას გაძლევთ, რომ ეს საქვეყნოდ ცნობილი გახდება). ჩემი ოჯახის წინაშე ვალად მიმაჩნია, ესეც მოგახსენოთ: იმ ჯიშის პიროვნებებს, იმ დროს რომ რექტორები იყვნენ (თსუ-ს გარდა) მამაჩემი (ღმერთმა ნათელში ამყოფოს!), საბედნიეროდ არ იცნობდა!

დამამცირებლად მიმაჩნია ესოდენ ბინძურ წერილთა ავტორებთან კამათი, მაგრამ მკითხველისადმი მაინც იმდენი პატივისცემა მმართებს, რომ ვთქვა, არ არის მართალი, რომ „ნათაძე არც ერთხელ არ შეხვედრია ადგილობრივ ქართველ მოსახლეობას". იმ 30 წლის მანძილზე, რაც საინგილოს საქმეში ჩაბმული ვარ, მე იქ, სულ ცოტა, ასჯერ მაინც გავლდით — სხვადასხვა ვითარებაში და სხვადასხვა როლში. მოსახლეობის, სულ ცოტა, სამი მეოთხედი სახით მიცნობდა ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ტელევიზიით ხშირი გამოსვლის შესაძლებლობა მომეცემოდა (სხვათა შორის, პირველი ტელევიზორიც საინგილოში მე ჩავიტანე 1961 წელს და როგორც ქართველ ინტელიგენციაში, ისე ქართულ ეროვნულ მოძრაობაში ერთადერთი კაცი დღემდე მე გახლავართ, ვისაც ხმა ამოუღია ან ხელი გაუნძრევია საინგილოს ტერიტორიაზე საქართველოს ტელეგადაცემების ჩახშობის წინააღმდეგ).

ახლა საკითხის იურიდიულ მხარეს შევეხოთ. მე მგონი, მივაღწევ იმას, რომ ცილისმწამებლებიც და ცილისმწამებელი გაზეთიც დაისაჯონ. ცილისწამება ძლიერი იარაღია ყოველი ბინძური დიქტატურის ხელში (ზოგადად მოგახსენებთ), მაგრამ ამ იარაღის ძალა უსასრულო არ არის. ჭერჭერობით (პროკურატურის დაუხმარებლად) შემდეგის დადგენა მოვახერხე. ის 1006 ხელმოწერა, რომელიც გაზეთის განცხადებით, პირველ წერილს აქვს, ამ წერილის ტექსტისთვის კი არა, **სხვა** ტექსტისთვის შეგროვებულა და შემდგომ სხვისთვის მიუკრავთ — სახელდობრ, შეგროვებულა ზ. გამსახურდიას მხარდამჭერის ტექსტისათვის (დახეთ ბედის ირონიას). ამგვარად, ჩადენილია სიყალბე, რომელზედაც პასუხს აგებენ ამ საქმის ორგანიზატორებიც და გაზეთიც.

დღეს ამ სიყალბის დასაფარავად იმავე ხალხში სასწრაფოდ გროვდება ახალი ხელმოწერები, რათა გაზეთში მათი ამ მხარდამჭერის ტექსტიც დაიბეჭდოს, მაგრამ ამ ერთსულოვან კომბინაციას, იმედია, ფეხებიც შესაბამისად მოკლე ექნება.

როგორც ვთქვი, ეს წერილები 25 მაისს დაიბეჭდა, ზუსტად არჩევნების წინადღეს, ასე რომ, პასუხს ვერ მოვასწრებდი და ამომრჩევლები 26-ში, დილით საარჩევნო უბნებში იმ აზრით წავიდოდნენ, რომ ერთ-ერთი კანდიდატი, ჩემი სახით, თურმე ინგილოებზე „ხელის მომთბობი" ყოფილა. ამ ბინძურ მეთოდს საარჩევნო კამპანიაში რა ჰქვია მორალის ენაზე, ვერ მოგახსენებთ, ისევე როგორც, ვერ მოგახსენებთ, რა ჰქვია **პარლამენტის** გაზეთის, „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქტორის აყვანას საარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი მონაწილის, რესპუბლიკის პრეზიდენტის საარჩევნო კომისიის წევრად. მაგრამ რა ჰქვია ამ მოქმედებას იურიდიულ ენაზე, ეს კი კარგად ვიცი: მას ჰქვია ხელისუფლების მიერ პოლიტიკური მოწინააღმდეგის მიმართ ცილისწამება და ამ მიზნით ხელისუფლების ბეჭდვითი ორგანოს ბოროტად გამოყენება. ეს **დანაშაული** გახლავთ.

დებულების მიხედვით პრესისა და ტელევიზიის **ყველა** მასალაც, რაც კი არჩევნებში მონაწილე რომელსამე კანდიდატს ეხება, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვიზა უნდა მიეღო. მაგრამ თუ ასეა, სადაა აქამდე კომისიის პროტესტი ან მის მიერ სასამართლოში აღძრული საქმე? ამიტომ საფუძველი მაქვს ვიფიქრო, რომ **საარჩევნო კომისია**, პირდაპირ ან არაპირდაპირ, **ზემოხსენებული დანაშაულის თანამონაწილეა**.

**დასასრულ**, გაზეთის იმავე, 25 მაისის ნომერში გამოქვეყნებულ ორ მასალასაც მინდა შევეხო. რ. ღონღაძის ღია წერილს რომ ვუპასუხო, ამისათვის ადრე ასჯერ ნათქვამის კვლავ და კვლავ გამეორება დამჭირდება, საამისოდ კი, მართალი მოგახსენოთ, დრო არ მემეტება. ვიტყვი მოკლედ: პოლიტიკური ჯგუფის სიკეთე, ისევე როგორც ხის სიკეთე (სახარებისა არ იყოს) ნაყოფით იცნობა. იმ ჯგუფისა, თავს რომ „რადიკალებს" უწოდებენ, დღემდე არც გონების ნაყოფი, არც მკლავისა და ძლიერი გულის ნაყოფი (რუსთაველის ენით რომ ვთქვათ) მე არ მიხიბლავს.

დასასრულ, მეორე მასალა იმავე ნომერში, რომელიც მე მეხება, ეს მრგვალი მაგიდის დეპუტატის, ქ-ნ ირინე ტალიაშვილის წერილი გახლავთ. იგი ჩემდამი კეთილგანწყობით განსხვავდება დანარჩენებისაგან, მაგრამ მასი ის ადგილი, რაც მე მეხება, ჩემთვის ფრიად სამწუხაროა, და შესწორებას საჭიროებს, ვინაიდან იგი არასწორად გადმოსცემს ჩემს პოზიციას: „საქართველოს სხეულში... რამდენიმე ნალღმია ჩადებული. ერთი ასეთი ნაღმი — აფხაზეთია, მეორე — სამაჩაბლო. ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთი. ჩვენ უნდა შევძლოთ საქართველოს სხეული გავწმინდოთ ამ ნაღმებისაგან. ამისთვის კი, კარგად ორგანიზებული და შეიარაღებული, კარგად გაწვრთნილი, ქართული ლაშქარია საჭირო!"

გამოდის, რომ, ჩემი აზრით, საქართველო იარაღის ძალით უნდა „გავწმინდოთ" „ნაღმებისგან", როგორიცაა „აფხაზეთი" და „ე. წ. სამხრეთ ოსეთი". მინდა კიდევ ერთხელ შევახსენო მკითხველს, რომ ასეთი აზრი მე არ მეკუთვნის. ჩვენი მტერი არაა არც „აფხაზეთი" და არც ყოფილი „ე. წ. სამხრეთ ოსეთი", არამედ იმპერიის მიერ შეგულიანებული და შექმნილი **ბანდები**, რომლებმაც მშვიდობიან მოსახლეობაზე თავდასხმები მოახდინეს. ჩემი უმორჩილესი თხოვნაა პატივცემული ავტორისადმი, ეს მცირე შენიშვნა გაითვალისწინოს მომავალ პუბლიკაციებში.

# ლამაზი დღესასწაული

**ლამაზი** დღესასწაული დაუმკვიდრებიათ თბილისის ვაზისუბნის მეორე მიკრორაიონის 167-ე ბაგა-ბაღში (გამგე ლამარა ჯიბლაძე). ბაგა-ბაღის პირველი კლასის აღსაზრდელები ანბანს შეისწავლიან თურმე და, გამოსამშვიდობებელ საღამოს და ანბანის შესწავლასთან დაკავშირებულ ზეიმს ერთად აწყობენ.

სწორედ ასეთი ზეიმი გაიმართა ზემოთხსენებულ ბაგა-ბაღში.

მეტად საინტერესო და მშვენიერი თეატრალიზებული სანახაობა წარმოგვიდგინეს თავიანთ აღსაზრდელებთან ერთად პედაგოგმა ელზა ბაქრაძე-ფურცელაძემ და მუსიკის მასწავლებელმა ირმა ხუციშვილმა.

ანთებული სანთლებით გამოდიან სხვადასხვა ყვავილთა კოსტუმებში გამოწყობილი გოგონები და შავტანსაცმლიანი ბიჭუნები. ისინი ნახევარწრედ დგებიან და იწყებენ „მამაო ჩვენოს". ცარგია, რომ ბავშვები პატარაობიდანვე სწავლობენ ამ ლოცვას, მერე და მერე ამ სიტყვებში დაფარულ აზრსაც გაიცნობიერებენ და ეგებ ჩვენზე უფრო შემწყნარებელნი და ზნეობრივნი გაიზარდონ. ამის მერე სანთლებს ფიალებში ჩაამაგრებენ. ისმის მელოდია სიმღერიდან „ვარსკვლავთ ერთმანეთს ტიტები". გაბრწყინებული სახეებით ასრულებენ პატარები ლიტერატურულ-მუსიკალურ კომპოზიციას, რომელიც აგებულია ჩვენი თანამდევი სულების — ილიას, აკაკის, გალაკტიონის და სხვათა ლექსებზე და სიმღერებზე.

შემდეგ მასწავლებელი მუყაოს ქაღალდებზე დაწერილ ანბანს ურიგებს პატარებს და იწყება ანბანთქება — ბავშვები თითოეულ ასოზე ამბობენ ლექსებს, ბოლოს კი ისე განლაგდებიან, რომ დაიწეროს სიტყვა „საქართველო" და მღერიან ილია ჭავჭავაძის აწ უკვე ჰიმნადქცეულ ლექსს, „ჩემო კარგო ქვეყანავ..."

მოვდიოდით და თან მოგვყვებოდა ბავშვების სუფთა, წკრიალა ხმით შესრულებული სიმღერა:

**„მე რად მინდა მკერდში გული,**
**დამეყაროს მაშინ მიწა,**
**თუ მოყვასის სიყვარული**
**სანთელივით არ დაიწვას.**

**მე რად მინდა ეს მარჯვენა,**
**დამეყაროს მაშინ მიწა,**
**თუ სიმართლეს ვერ დავიცავ,**
**ჩემს სამშობლოს ვერ დავიცავ".**

ნინო ბოძაშვილი




ფასი 50 კაპ.

ინდექსი 66447

რედაქციის მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის გრ. № 85. ტელ.: 22-16-01.
იბეჭდება ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „საქართველო"

შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორი ნოდარ ბრიხალაშვილი